


ეროვნული
ბიბლიოთეკა

619
1976

# დროშა

ნოემბერი
№ 11 1976 წ.




ეროვნული ბიბლიოთეკა

სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა **ლ. ი. ბრეჟნევმა** კრემლში მიიღო საფრანგეთის სატელევიზიო კომპანიის ტფ-1-ის მიმომხილველი ივ მურუზი და ინტერვიუ მისცა მას.

**სურათზე:** სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი **ლ. ი. ბრეჟნევი** ინტერვიუს აძლევს საფრანგეთის ტელევიზიას.



# მგზნებარე მოწოდება მშვიდობისათვის

13.033

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა ამხანაგმა ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევმა 1978 წლის 5 ოქტომბერს კრემლში მიიღო საფრანგეთის სატელევიზიო კომპანია ტფ-1ის მიმომხილველი ივ. მურუზი და ინტერვიუ მისცა მას.

ამხანაგ ლეონიდ ბრეჟნევის ინტერვიუს საფრანგეთის ტელევიზიისათვის უდიდესი ინტერესით შეხვდნენ საფრანგეთში, ევროპაში, მთელ მსოფლიოში. ელვის სისწრაფით მოედო ქვეყნიერებას სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ამხანაგ ლეონიდ ბრეჟნევის ეს მგზნებარე მოწოდება მშვიდობის დამკვიდრებისა და განმტკიცებისათვის. ალაპარაკდა მსოფლიოს პრესა. ფრანს პრესის სააგენტომ მას სრულიად სამართლიანად „უდიდესი ისტორიული მნიშვნელობის მოვლენა" უწოდა.

ჩვენი ძლევამოსილი საბჭოთა ქვეყნის მშრომელებში ამ მგზნებარე მოწოდებამ დიდი აღფრთოვანება და შრომითი აღმავლობა გამოიწვია, რადგან ბრძნულად არის გამოხატული ამ მოწოდებაში საბჭოთა ადამიანების მისწრაფება და გულისწადილი. ეს ისტორიული მნიშვნელობის მოვლენა ნათლად მეტყველებს ჩვენი პარტიის სამშვიდობო პოლიტიკის სამართლიანობაზე, იმ დიდ ზრუნვაზე, რასაც იჩენს ჩვენი სახელოვანი კომუნისტური პარტია ხალხის კეთილდღეობისათვის, მშვიდობის განმტკიცებისათვის, ხალხთა შორის ურთიერთგაგებისა და თანამშრომლობისათვის. ჩვენი ქვეყნის ამ სამშვიდობო პოლიტიკას დიდად უმადლის საბჭოთა ხალხი ჩვენი პარტიის ლენინურ ცენტრალურ კომიტეტს, მის პოლიტბიუროს და პირადად ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევს, რომლის სახელთანაა დაკავშირებული მსოფლიოში მშვიდობის განმტკიცებისათვის ბრძოლის გზაზე ბევრი გამარჯვება და წარმატება.

ამხანაგმა ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევმა საფრანგეთის ტელევიზიისათვის მიცემულ ინტერვიუში ზუსტად განსაზღვრა გზები საერთაშორისო დაძაბულობის შენელებისათვის: „მოდით, კონკრეტულად ვნახოთ, რა მოაქვს დაძაბულობის შენელებას. ეს არის გზა კონფრონტაციიდან თანამშრომლობისაკენ, მუქარიდან და იარაღის ჟღარუნიდან მოლაპარაკების მეშვეობით სადავო საკითხების გადაჭრისაკენ და საერთოდ საერთაშორისო ურთიერთობის გარდაქმნა მშვიდობიანი თანაარსებობის, ერთმანეთის პატივისცემისა და ორმხრივი ხელსაყრელობის ჯანსაღ საწყისებზე".

საბჭოთა კავშირ-საფრანგეთის თანამშრომლობაზე ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევმა აღნიშნა: „ჩვენ გულწრფელად გვჯერა, რომ საბჭოთა კავშირსა და საფრანგეთს დიდი საერთო ინტერესები აქვთ, განსაკუთრებით ისეთ საქმეებში, როგორიც არის ომის საფრთხის თავიდან აცილება, გამალებული შეიარაღების ალაგმვა, ევროპის გადაქცევა მტკიცე მშვიდობის კონტინენტად. და დარწმუნებული ვართ, რომ თუ ჩვენი ქვეყნები თავიანთ ურთიერთობას გააქტიურებენ, სულ უფრო კონკრეტულ წვლილს შეიტანენ ამ საარსებოდ დიდმნიშვნელოვან საქმეებში. საბჭოთა კავშირი, რა თქმა უნდა, მზად არის ამისათვის".

არ შეიძლება გულში არ ჩასწვდეს მსოფლიოს პროგრესულ ადამიანებს ლეონიდ ბრეჟნევის ეს სიტყვები, რომელიც მან საქვეყნოდ განაცხადა ჩვენი პარტიისა და ხალხის სახელით. ამ ლენინურმა განსაზღვრამ დიდი გამოხმაურება ჰპოვა მთელს მსოფლიოში, მსოფლიოს საზოგადოებრიობა უდიდესი ინტერესით შეხვდა ლ. ი. ბრეჟნევის ინტერვიუს საფრანგეთის ტელევიზიისათვის.

ლ. ი. ბრეჟნევის ინტერვიუ, უდავოდ, ფართო დადებითს გამოხმაურებას გამოიწვევს საფრანგეთის საზოგადოებრივი აზრის სხვადასხვა ფენებში — განაცხადა გაზეთ „ლუმანიტეს" საერთაშორისო განყოფილების რედაქტორმა ივ მორომ. სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის გამოსვლა, რომელიც მეგობრობისათვის, საბჭოთა კავშირ-საფრანგეთის თანამშრომლობისათვის მოგვიწოდებს, შეესაბამება ორივე ქვეყნის ინტერესებს, ორივე ხალხის ინტერესებს, მსოფლიოს ინტერესებს.

ლ. ი. ბრეჟნევმა სრულიად სამართლიანად განაცხადა, განაგრძო ივ მორომ, რომ ყველა ამ დარგში არის უდიდესი გამოუყენებელი შესაძლებლობანი. საფრანგეთის კომუნისტური პარტია თავის მხრივ ყოველ ღონეს იხმარს, რათა ხელი შეუწყოს ნაყოფიერი და ურთიერთხელსაყრელი ურთიერთობის განვითარებას. მშვიდობის ფართო პერსპექტივები, რომლებიც ლ. ი. ბრეჟნევის ინტერვიუშია დასახული, კაცობრიობის მომავლის გარანტიას იძლევიან.

ფრანგული ჟურნალისტიკის ვეტერანმა ჟენევიევა ტაბუიმ განაცხადა, ლ. ი. ბრეჟნევის ინტერვიუმ ჩემზე განსაკუთრებული შთაბეჭდილება მოახდინაო. მერწმუნეთ,—თქვა მან,—საბჭოთა ხელმძღვანელის გამოსვლამ საყოველთაო ინტერესი გამოიწვია საფრანგეთის მოსახლეობის სულ სხვადასხვა ფენაში. ამიერიდან ფრანგები კიდევ უფრო ფართოდ წარმოიდგენენ საბჭოთა დიპლომატიის უდიდეს როლს საერთაშორისო სარბიელზე, ბევრად უფრო ნათელი გახდება, თუ როგორ ცხოვრობს, რისთვის შრომობს საბჭოთა ხალხი.

მოვიყვანთ კიდევ რამდენიმე მაგალითს საკდესის მასალებიდან.

„საფრანგეთში კარგად იცნობენ ლ. ი. ბრეჟნევის მოღვაწეობას მშვიდობის განსამტკიცებლად, საბჭოთა კავშირისა და საფრანგეთის თანამშრომლობის გასაფართოებლად, — თქვა პარიზის გარეუბან ობერვილიეს 'ავტომექანიკურ სახელოსნოთა მუშამ ჟერარ მოვემ. — ჩვენ დიდად ვაფასებთ ამ მოღვაწეობას".

სიმართლე საბჭოთა კავშირსა და მის მშვიდობისმოყვარულ პოლიტიკაზე, რომელიც მკაფიოდ, გასაგებად და დამაჯერებლად არის ჩამოყალიბებული, დღეს მილიონობით ფრანგის ოჯახში შეიჭრა,— თქვა „საფრანგეთ-სსრ კავშირის" ასოციაციის საპრეზიდენტო საბჭოს წევრმა რაიმონ მარკიემ. მე და



საქ. სსრ კ. მარქსის სახ. სახ. რესპუბ. ბიბლიოთეკა

ჩემი მეგობრები აღგვაფრთოვანა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის მკაფიო, ადამიანურმა, სადა და გულწრფელმა გამონათქვამებმა.

მე თითქოს კვლავ პირადად ვიხილე ლ. ი. ბრეჟნევი, მხნე და ხალისიანი, და ძალიან მიხარია ეს, რადგან წილად მხვდა პატივი შევხვედროდი მას საფრანგეთში 1971 წელს ვიზიტის დროს. ჩვენ, ფრანგებს, მეტად გვეამა ლ. ი. ბრეჟნევის გულთბილი სიტყვები საბჭოთა კავშირისა და საფრანგეთის ურთიერთობის შესახებ. სსრ კავშირისა და საფრანგეთის მეგობრობა ტრადიციულია. მას ღრმა ისტორიული ფესვები აქვს და გამოწრთობილია ფაშიზმის წინააღმდეგ საერთო ბრძოლაში.

სოციალისტური თანამეგობრობის ქვეყნების გაზეთები ლ. ი. ბრეჟნევის ინტერვიუს ტექსტს აქვეყნებენ სათაურებით: „განიარაღება უაღრესად აქტუალური ამოცანაა“, „დაძაბულობის შენელება პოლიტიკის კრიტერიუმია“, „განვავითაროთ თანამშრომლობის შესაძლებლობანი“.

მხარს უჭერს რა ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევის მგზნებარე მოწოდებას მსოფლიოს პროგრესული პრესა, პატიოსანი და მართალი ადამიანები ერთხმად მოითხოვენ აილაგმოს გამალებული შეიარაღება. ისინი დაბეჯითებით აღნიშნავენ იმას, თუ რა ისტორიული მნიშვნელობა აქვს თანამედროვე საერთაშორისო ვითარების ანალიზს, რომელიც ლ. ი. ბრეჟნევმა გააკეთა. განსაკუთრებით კი გამოჰყოფენ მის გამონათქვამებს საერთაშორისო დაძაბულობის შენელებისათვის, მშვიდობის დამკვიდრებისათვის, მსოფლიოს ხალხთა ურთიერთგაგებისა და თანამშრომლობისათვის.

საბჭოთა ხალხი, რომელიც მარად ერთგულია ჩვენი პარტიისა, მისი სამშვიდობო პოლიტიკისა, გულწრფელი სიხარულით შეხვდა ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევის ისტორიულ გამოსვლას საფრანგეთის ტელევიზიისათვის.

კომუნიზმის მშენებელ ხალხს ეამაყება რომ ჩვენი ქვეყანა დგას მშვიდობის სადარაჯოზე. იგი გმირული შრომით დღითი-დღე ამტკიცებს მამულის ძლიერებას. ამას ადასტურებს ის სასიხარულო ამბები, რომელიც მოდის ჩვენი თვალუწვდენელი ქვეყნის ველ-მინდვრებიდან, ზვრებიდან, ჩაის პლანტაციებიდან, ქარხნებიდან, ფაბრიკებიდან, სამეცნიერო ლაბორატორიებიდან.

საბჭოთა საქართველოს მშრომელები, რომლებიც აღაფრთოვანა ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევის ამასწინანდელმა გულითადმა მილოცვამ, რომელიც მან გამოგზავნა საქართველოს მშრომელების მიერ 350 ათასი ტონა ხარისხოვანი ჩაის ფოთლის მიყიდვის სოციალისტურ ვალდებულებათა შესრულების გამო, ახალ წარმატებებს აღწევენ სამეურნეო და კულტურული ცხოვრების ყველა უბანზე.

ჩვენი ხალხი ერთგულია ჩვენი პარტიის ლენინური სამშვიდობო პოლიტიკისა და თავდადებული შრომით ანმტკიცებს საყოველთაო მშვიდობის საქმეს.



# კიდევ ამღერდი

სანდრო შანშიაშვილი

გავინავარდე მხოლოდ ერთხელ, მფრინავი რაშით,
რამდენი სიტკბო და სიამე ვიგრძენ მე მაშინ!
დაბერდა რაში, მეც დავბერდი ამ ნეტარ დროში!
მაინც ვჯირითობ მოლხენილი ლექსების დროშით!

არ გადმიხდია სამშობლოსთვის ჯერ სრულად ვალი.
მინდა დავლოცო მისი აწმყო და მომავალი!
კიდევ ამღერდი მაღალი ხმით, გულო მორჩილო!
სანამ ცოცხალხარ, სიბერეს არ დაემორჩილო!

მე მარტო არ ვარ, ჩემს ძახილზე ყრმანი დგებიან,
ახალგაზრდები ტკბილ მოძახილს მეუბნებიან!
გაქრა ნაღველი, გაჰქრა სევდა, ამაოება,
ამაღლდა ცამდე სანატრელი ჩვენი დროება!
კიდევ ამღერდი მაღალი ხმით, გულო მორჩილო,
სანამ ცოცხალხარ, სიბერეს არ დაემორჩილო!

* * *

მუზეუმის მყუდრო დარბაზში ვზივარ და ვკითხულობ ჟამთა სვლისაგან გაყვითლებულ ქაღალდის ფურცლებს. ეს ფურცლები ალექსანდრე წულუკიძის მღელვარე ცხოვრების ისტორიას მოგვითხრობენ.

აი, დაბა ხონი, თავად გიგო წულუკიძის დიდი ოჯახი. პატარა საშა ლაღად და ბედნიერად ცხოვრობს, მთელ დღეებს ბუნების წიაღში ატარებს, ცხენს დააჭენებს, საღამოობით კი საყვარელი დედისა და შინაური მასწავლებლის ხელმძღვანელობით ქართულ წიგნებს კითხულობს, ბეჯითად სწავლობს.

მალე იგი სასწავლებლად ქუთაისში გადაჰყავთ. გიმნაზიის ატმოსფერო ყმაწვილს სულს უხუთავს. სამაგიეროდ, იგი ფრთებს შლის გიმნაზიის გარეთ. სწორედ ქუთაისში, ქართული კულტურის ამ შესანიშნავ ცენტრში, შეითვისა ა. წულუკიძემ ქართული საზოგადოებრივი აზრის დიდი მონაპოვარი და აირჩია ცხოვრების გზა. შემთხვევითი როდი იყო, რომ ქუთაისიდან საშა თბილისში გადმოვიდა და მუშაობა ილია ჭავჭავაძის გაზეთ „ივერიაში“ დაიწყო

საშა წულუკიძის ხელით ნაწერ ერთ კერძო წერილს თარიღად უზის 1897 წლის 18 ნოემბერი. ამ წერილში ავტორი პირდაპირ მიუთითებს იმ განსაკუთრებულ როლზე, რომელიც მისი მსოფლმხედველობის ჩამოყალიბებაში ქართველი სამოციანელების (თერგდალეულების) რევოლუციურ-დემოკრატიულმა იდეებმა შეასრულეს. „ყოველ ახალ აზრს, წიგნში ამოკითხულს, — ნათქვამია ამ წერილში, — სამოციანი წლების იდეალებს (განსაკუთრებით) გატაცებით ვეძლეოდი და ამ გზით, ამნაირად დღემდე მოვდივარ და ამ გზითვე მინდა მომავლისაკენ გზა გავიკაფო“.

დიახ, სწორედ თერგდალეულთა პროგრესულმა იდეებმა გაკაფეს გზა და მოამზადეს პირობები საქართველოში, მარქსიზმის გავრცელებისათვის რასაც ასე ნათლად და თვალსაჩინოდ ადასტურებს ა. წულუკიძის ზემოთხსენებული წერილი.

აღსანიშნავია ის საყურადღებო გარემოებაც, რომ ა. წულუკიძეს, ვიდრე იგი ცხოვრების გზას აირჩევდა, არც ევროპაში უცხოვრია და არც რუსეთში; მარქსიზმთან იგი თვით საქართველოს ცხოვრებამ, ქართული საზოგადოებრივ-პოლიტიკური აზრის განვითარების შინაგანმა ლოგიკამ მიიყვანა.

ნიჭიერი რევოლუციონერი გულდასმით სწავლობდა მშობლიური ქვეყნის საზოგადოებრივ მოვლენებს და მხოლოდ მას შემდეგ, რაც მისი ცხოვრების მიზანი საბოლოოდ გაირკვა, მან გადაწყვიტა გამგზავრებულიყო რუსეთს, რათა სამშობლოში შეძენილი ცოდნა გაეღრმავებია და მარქსისტული აზროვნების მწვერვალებს დაუფლებოდა.

სუსტი, ტუბერკულოზით დაავადებული ა. წულუკიძე, დაძაბულ თეორიულ მუშაობასთან ერ-


პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

დროშა

№ 11 (479) ნოემბერი, 1976 წ.

ჟურნალი გამოდის 1923 წლიდან

ყოველთვიური საზოგადოებრივ-პოლიტიკური და სალიტერატურო-სამხატვრო ჟურნალი

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობა



© „დროშა“, 1976

მთავარი რედაქტორი
რევაზ მარგიანი

სარედაქციო კოლეგია:

გულნარა ბახტაძე,
თენგიზ გოგოლაძე
(პ/მგ. მდივანი),
ოთარ დემეტრაშვილი,
გურამ დოჩანაშვილი,
სერგო დურმიშიძე,
დინარა ნოდია
(მხატვარი-რედაქტორი),
ლადო სულაბერიძე,
ილია ტაბაღუა,
უჩა ჯაფარიძე.

ტექრედაქტორი დავით ხეფიაშვილი

კორექტორი ქეთევან წერეთელი

# რევოლუციონერი და მოაზროვნე



ეროვნული ბიბლიოთეკა

თად, უაღრესად აქტიურ პრაქტიკულ-რევოლუციურ საქმიანობას ეწეოდა.

ფ. მახარაძის სამართლიანი თქმით, „მისი სიცოცხლე იყო განუწყვეტელი დუღილი და წვა. იგი დაუზოგველად ფლანგავდა თავის ენერგიას".

სულ მოკლე დროში ა. წულუკიძემ საფუძვლიანად შეისწავლა საქართველოსა და ამიერკავკასიის მშრომელთა ცხოვრება. ხონი, ქუთაისი, ჭიათურა, თბილისი, ბათუმი, სოხუმი, ბაქო, მოსკოვი, აი, ის ქალაქები, სადაც იგი მოღვაწეობდა და უშუალოდ აკვირდებოდა ცხოვრების მოვლენებს. ერთი სიტყვით, იგი შიგ ცხოვრების შუაგულში ტრიალებდა და ამზადებდა მშრომელ ხალხს ძლევამოსილი რევოლუციისათვის, რომლის გამარჯვებას იგი, სამწუხაროდ, ველარ მოესწრო.

საშა წულუკიძე ოცდაცხრა წლისა არც კი იყო, როცა გარდაიცვალა. მისი სიკვდილი გრანდიოზულ საზოგადოებრივ მოვლენად იქცა. მშრომელი ხალხისთვის დაფერფლილი ადამიანის კუბო, კოკისპირული წვიმის მიუხედავად, ათასობით ადამიანმა ფეხით გააცილა ქუთაისიდან ხონამდე. მეგობრებს კუბო ხელით მიჰქონდათ, გზადაგზა მიტინგებს მართავდნენ და რევოლუციურ სიტყვებს წარმოთქვამდნენ.

* * *

შეუპოვარი თეორიული მუშაობისა და აგრეთვე საქართველოს ცხოვრების მოვლენებზე უშუალო დაკვირვების შედეგად, ა. წულუკიძემ შესძლო შეექმნა პირველხარისხოვანი მეცნიერულ-მარქსისტული ნაშრომები, რომლებმაც (ი. სტალინის ნაშრომებთან ერთად) ქართული საზოგადოებრივი აზროვნება ახალ სიმაღლეზე აიყვანეს და მსოფლიოს ყველაზე მოწინავე აზროვნებას გაუთანაბრეს.

ა. წულუკიძის ნაშრომები შედარებით მცირეა, დაახლოებით ერთ საშუალო სიდიდის ტომს შეადგენს, მაგრამ მათში იმდენი ღრმა და ორიგინალური აზრია გამოთქმული, რომ მათ ავტორს არ შეიძლება დიდი მოაზროვნის სახელი სამუდამოდ არ დაუმკვიდრდეს.

ალექსანდრე წულუკიძის ნაშრომები მოწინავე ქართული აზროვნების ნამდვილი თვალმარგალიტებია; მათ დღესაც არ დაუკარგავთ თავიანთი მნიშვნელობა და, ალბათ, არც არასდროს დაკარგავენ; საშას დამსახურება განსაკუთრებით დიდია პოლიტიკურ ეკონომიაში. მისი „ნაწყვეტები პოლიტიკური ეკონომიიდან" ამ ჟანრის ლიტერატურის ნამდვილი შედევრია. არანაკლები მნიშვნელობა აქვს მის ფილოსოფიურსა და პარტიულ-პოლიტიკურ პრობლემებზე დაწერილ გამოკვლევებს („ოცნება და სინამდვილე" და სხვ.), აგრეთვე ლიტერატურულ-კრიტიკულ ნაშრომებს („ახალი ტიპი ჩვენს ცხოვრებაში" და სხვ.), რომლებმაც თვალსაჩინო ადგილი დაიჭირეს ქართული აზროვნებისა და კრიტიკის ისტორიაში.

ა. წულუკიძის განსაკუთრებულ დამსახურებად ჩვენ ის გარემოება კი არ მიგვაჩნია, რომ მან ზედმიწევნით კარგად შეისწავლა კ. მარქსისა და ფ. ენგელსის ნაშრომები, კერძოდ კი „კაპიტალი" (თუმცა თავისთავად ესეც დიდი დამსახურებაა), არამედ ის, რომ მან პირველმა შესძლო მარქსისტული მოძღვრების თვალსაზრისით საქართველოს ისტორიის ურთულესი პრობლემების ღრმად შესწავლა და გაშუქება. ა. წულუკიძე თავისი გენიალური მასწავლებლის ვ. ი. ლენინის გზით მიდიოდა და მარქსიზმის შემოქმედებითად გამოყენების ბრწყინვალე მაგალითებს იძლეოდა.

ოსტატურად იყენებდა რა ისტორიის მატერიალისტური გაგების მეთოდს, ა. წულუკიძემ პირველმა მოგვცა ქართული ფეოდალიზმის, როგორც წარმოების გარკვეული წესის, სწორი განსაზღვრა, დიდი სიზუსტით გადმოსცა ფეოდალური სოციალ-ეკონომიური წყობის რღვევისა და კაპიტალისტური ურთიერთობის ჩასახვა-განვითარების პროცესი, ჩამოაყალიბა მეცნიერული დებულებები ფეოდალიზმიდან კაპიტალიზმში გადასვლის დროსა და პირობებზე, ქალაქების წარმოშობაზე, სავაჭრო კაპიტალის ისტორიულ როლზე და საქართველოს ეკონომიური განვითარების მრავალ სხვა საკითხზე.

განსაკუთრებით საყურადღებო მოსაზრებები აქვს გამოთქმული ა. წულუკიძეს ქვეყნის სოციალური განვითარების ისტორიის საკითხებზე, კერძოდ, რეფორმისშემდეგდროინდელი საქართველოს კლასობრივ ძალთა თანაფარდობაზე, ეროვნული ბურჟუაზიის ისტორიულ როლზე, მუშათა და გლეხთა კავშირზე და მრავალ სხვა მნიშვნელოვან საკითხზე.

თავისთავად ცხადია, მოკლე წერილში ჩვენ არ შეგვიძლია დავახასიათოთ ა. წულუკიძის მთელი მეცნიერული მემკვიდრეობა, ვიტყვით მხოლოდ, რომ ამ მემკვიდრეობის მთავარი დამახასიათებელი ნიშანია ისტორიული მოვლენებისადმი შემოქმედებითი მიდგომა.

ალექსანდრე წულუკიძის უდიდეს დამსახურებად სამუდამოდ დარჩება იმ ფაქტის დადგენა, რომ კაპიტალიზმის განვითარებას საქართველოში, ევროპასთან შედარებით, არსებითი თავისებურებანი ახასიათებდა და ამის გამო პროგრესის სათავეში ჩვენში იდგა არა ბურჟუაზია და მისი იდეოლოგები, არამედ მშრომელი ხალხი და მისი იდეოლოგები. ეს იყო უდიდესი აღმოჩენა და ჭეშმარიტად ოქროს ასოებითაა ისტორიაში ჩასაწერი ამ დიდი მოაზროვნის უკვდავი სიტყვები:

„თუ ევროპაში ბურჟუაზია იყო ერის სულიერი სიმდიდრის განმავითარებელი, ჩვენში საზოგადოების მეორე კლასი იქნება — ეს კლასია მატერიალურად ხელმოკლე და გონებრივად ახლად აღორძინებული მშრომელი ხალხი. მძიმე ტვირთი აწევს მას კისერზე, მხოლოდ მისი დასავლეთელი თანამოძმეების ისტორია, წარსული ცხოვრების მაგალითები, თანამედროვე პირობების აუტანელი სიმძიმე — საუკეთესო განმავითარებელი სკოლაა მისთვის და ის ამ შეძენილ ცოდნას მთელი ერის საკეთილდღეოდ გამოიყენებს. ის უნდა გახდეს ცხოვრების წინსვლის მებაირახტრე და მან უნდა გააკეთოს დიადი საერო საქმე".

არ შეიძლება ორიოდე სიტყვით არ მოვიხსენიოთ ის დიდი დამსახურება, რომელიც ა. წულუკიძეს საერთოდ ეროვნული საკითხის კერძოდ, კი წარსულის მემკვიდრეობისადმი მუშათა კლასის დამოკიდებულების პრობლემის გარკვევაში მიუძღვის.

არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ მის დროს ეროვნული საკითხი ჩვენი ქვეყნის ერთ-ერთი ყველაზე საჭირბოროტო და თანაც შედარებით ნაკლებად დამუშავებული საკითხი იყო. საქართველოს სოციალ-დემოკრატ მოღვაწეთა ერთ ნაწილს, მათ შორის ზოგიერთ გამოჩენილ ბოლშევიკსაც, არასწორად, ყალბად და ნიჰილისტურად ესმოდა ეროვნული კულტურის, ენისა და ზნე-ჩვეულებების მიმართ მარქსისტების დამოკიდებულება ზოგიერთი მათგანი პირდაპირ აცხადებდა: „ჩვენთვის ნაციონალური კულტურა არ არსებობს. ნაციონალურ ენას მხოლოდ პირობითი და წარმავალი მნიშვნელობა აქვს; რაც შეეხება ნაციონალურ ზნეჩვეულებებს, ესენი მხოლოდ კონსერვატორობის გამომხატველია".

ალექსანდრე წულუკიძე შორს იდგა მარქსიზმის ამგვარი ვულგარიზატორებისაგან. მან უდიდესი შრომა გასწია ლენინური ეროვნული პოლიტიკის ისეთი საკვანძო პრობლემების გადასაწყვეტად, როგორიცაა: დიდი და პატარა ერების ნაციონალიზმი და მათ შორის არსებული განსხვავება, სოციალური და ეროვნული საკითხების ურთიერთდამოკიდებულება, ეროვნული ავტონომიის პრობლემა და მრავალი სხვა.

განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ა. წულუკიძის მიერ ისეთი საჭირბოროტო საკითხის სწორ გადაწყვეტას, როგორიც იყო წარსულის მემკვიდრეობისადმი მუშათა კლასისა და მისი პარტიის დამოკიდებულების საკითხი. რაკი მან საქართველოში პროგრესის მედროშედ მშრომელი ხალხი აღიარა, თავისთავად ცხადია, რომ მისი აზრით, სწორედ მშრომელი ხალხია ერთადერთი კანონიერი მემკვიდრე წარსულში შექმნილი დიდი სულიერი კულტურისა, ყოველივე კარგისა, რაც ქართველ ერს საუკუნეთა განმავლობაში შეუქმნია. ამით აიხსნება ის შეუპოვარი ბრძოლა, რომელსაც ა. წულუკიძე წლების მანძილზე ქართული ენისა და კულტურის დასაცავად აწარმოებდა.

მუშა რევოლუციონერთა მოგონებებიდან კარგად ჩანს, რა დიდი პატივისცემით და სიყვარულით ეპყრობოდა ა. წულუკიძე ქართული ლიტერატურის კლასიკოსებს, განსაკუთრებით კი შოთა რუსთაველს და ილია ჭავჭავაძეს. მისი საგანგებო მითითებით 1905 წლის რევოლუციის წინ ბათუმის მუშათა შორის, პროკლამაციებთან ერთად, თურმე საიდუმლოდ ვრცელდებოდა ილია ჭავჭავაძის, ეგნატე ნინოშვილის, ალ. ყაზბეგისა და სხვა ქართველი მწერლების ნაწარმოებები.

ა. წულუკიძისათვის უცხო იყო ყოველგვარი ნიჰილიზმი, ის აღსავსე იყო ოპტიმიზმით, ცხოვრებისა და სილამაზის სიყვარულით. „ბევრი ახალი ამბავი მომდის მაქედან, — წერდა იგი 1897 წელს მოსკოვიდან თავის მეგობარს ელენე ჭიჭინაძეს, — სწორედ აღტაცებაში მოვდივარ, პესიმისტობა არ შემიძლია, რადგან მწამს უკეთესი მომავალი, მწამს პროგრესი".

ასეთი იყო ალექსანდრე (საშა) წულუკიძე — საქართველოს მუშათა კლასისა და მთელი ქართველი ერის ღირსეული შვილი.

პროკოფი რატიანი


ეროვნული
ბიბლიოთეკა

# დარჩება უკვდავ კვალად

## საყოველთაო აღიარება

ამ რამდენიმე თვის წინ ბურიატთა ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის დედაქალაქ ულან-უდეში მშენებელთა აქტივის შეკრება გაიმართა.

დარბაზი აივსო ბაიკალ-ამურის მაგისტრალის მშენებელთა მრავალათასიანი არმიის წარმომადგენლებით. ყველა სულგანაბული უსმენდა სსრ კავშირის მშენებლობის მინისტრის მოადგილესა და ბამის მშენებლობის უფროსს კ. მოხორტოვს.

დამსწრეთა შორის ნია-გრუზინსკაიას მშენებელთა რაზმის წარმომადგენლები — მშენებლობის უფროსი ანზორ დვალიშვილი და მთავარი მექანიკოსი რევაზ კიკაბიძეც იყვნენ.

მოულოდნელად მინისტრის მოადგილემ ნია ახსენა.

ანზორმა და რევაზმა ყურები ცქვიტეს.—

— გირჩევთ, ამხანაგებო, გაემგზავროთ ნიაზე და შეისწავლოთ, როგორ სამაგალითოდ აშენებენ ქართველი მეგობრები, — ხაზგასმით აღნიშნა ორატორმა.

ანზორი აღელდა, ფიქრებში წასულს თვალწინ ნათლად დაუდგა ის მშფოთვარე დღეები, როცა უკაცრიელ ტაიგაში მშენებელთა პირველ რაზმს ჩამოუძღვა. მის გონებაში კინოკადრებივით გაირბინა დაძაბული შემოქმედებითი შრომისა და ბრძოლის სურათებმა.

თოვლის სამოსელში გახვეულიყო მაშინ ნიას შემოგარენი. აპრილი იდგა, მაგრამ ყინვა ჯერ კიდევ მძლავრობდა. თერმომეტრში ვერცხლისწყალი მინუს 25 გრადუსს აჩვენებდა.

საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროს სპეციალური სამშენებლო მატარებელის „საქბამშენის" კოლექტივმა, რომელიც მაშინ სამოცდაოთხი კაცისაგან შედგებოდა, ნიას მარცხენა ნაპირზე დასცა კარვები.

საქართველოდან ოცდაოთხი ვაგონით ჩამოტანილმა სხვადასხვა სამშენებლო ტექნიკამ უჩვეულოდ აახმიანა ტაიგა. დაიწყო ტყის გაკაფვა და საცხოვრებელი დაბისთვის ადგილის მოსწორება.

მოუთმენლად ელოდნენ ნიას მშენებლები უკრაინასა და ბელორუსიაში დამზადებული საცხოვრებელი სახლების ასაწყობ კონსტრუქციებს. ძირითადი დამკვეთი ორგანიზაცია „ანგარმშენი" აგვიანებდა ამ მეტად საჭირო ასაწყობი კონსტრუქციების გამოგზავნას. და აი, ქართველ მშენებელთა შორის დაიბადა გაბედული იდეა — სამშენებლო მასალად ადგილობრივი ხე-ტყე გამოეყენებინათ.

მიახლოებითმა გაანგარიშებამ აჩვენა, რომ თუ საშენ მასალად ადგილობრივ ნედლეულს გამოიყენებდნენ, მშენებლობის საერთო ხარჯები 20-25 პროცენტით მაინც შემცირდებოდა.

მშენებლებმა მალე სათანადო ნებართვაც აიღეს და საქმეს შეუდგნენ. ჯერ სახერხი ქარხანა გამართეს, მერე კი, როცა ტყეც გაიკაფა, სამშენებლო მოედნის მომზადებასაც შეუდგნენ.

გამოთბა. ნიაზე თოვლი ერთბაშად დადნა, გარემო მუხლამდე ტალახში ჩაეფლო. სხვა ჩარა არ იყო, ქართველმა მშენებლებმა ტალახიან გრუნტზე ხის ვეება მორები დააგეს. ფართო სავალი გზა გაიყვანეს და ამ გზას ხუმრობით „რუსთაველის გამზირი" შეარქვეს.

რაკიღა სამშენებლო მასალა საკუთარი ჰქონდათ, გადაწყვიტეს, სახლებიც თავიანთი გემოვნებით აეგოთ.

ბამზე დროებითი შენობები, როგორც წესი, ტიპიური პროექტით შენდებოდა: სახლები უშუალოდ მიწაზე იდგმებოდა და სახურავი ორქანობიანი უკეთდებოდა. ჩვენმა ბიჭებმა ხის სახლების მშენებლობაში მამაპაპისეული გამოცდილება გამოიყენეს და ნაგებობები ბელეტაჟზე დადგეს; რადგან აქ მკაცრი ზამთარი იცის, შენობები ორმაგი კედლით შემორაზეს, ნახერხით ამოავსეს, სახურავები კი ოთხქანობიანი გაუკეთეს.

მალე მწყობრში ჩადგა პირველი საცხოვრებელი სახლი; პირველს მეორე მოჰყვა, მეორეს — მესამე. შესანიშნავად შეეხამა გარემოს ქართულ სტილზე ნაგები შენობები და ძალზე დამშვენდა მიდამო.

პირველი ქების წერილები ჯერ ადგილობრივ პრესაში გამოჩნდა, მერე ქების არიალი სწრაფად გაფართოვდა — ირკუტსკის საოლქო გაზეთები ალაპარაკდნენ, რადიომაც და ტელევიზორმაც თქვეს თავიანთი სიტყვა ნიელ ქართველთა გაბედულ მოქმედებაზე, საკითხისადმი შემოქმედებით მიდგომაზე, საზრიანობასა და სიფაქიზეზე.

ახლა კი ბამელთა უმაღლეს ფორუმზეც დაიმსახურეს სატრანსპორტო მშენებლობის მინისტრის მოადგილის გულმხურვალე შექება.

## ნიელთა თავკაცი

ახლახან შეუსრულდა ორმოცდაორი წელი. ანზორ დვალიშვილი ტანად საშუალოზე მაღალია, ბეჭებში ოდნავ მოხრილი, შეთხელებული თმა მთლად გასთეთრებია. მას ხანდომიანი სახე და გამჭოლი გამოხედვა აქვს.

შრომითი საქმიანობა ოცი წლის წინათ დაიწყო. ჯერ თბილისში ერთ-ერთ ობიექტზე მუშაობდა სამუშაოთა მწარმოებლად, მერე ბიჭვინთაში გადაიყვანეს ხელმძღვანელ სამუშაოზე; საქმის მცოდნე და ენერგიული ინჟინერი მალე თეირანში გაგზავნეს და 10 ათას ტონიანი მაცივრის მშენებლობის ხელმძღვანელობა დააკისრეს. გავიდა ხანი, ანზორი ისევ ბიჭვინთას დაუბრუნდა, მერე კი აქ, ტაიგაში გამოუძღვა ქართულ მშენებელთა რაზმს.

კაბინეტში იშვიათად ნახავთ, ძირითადად იქ არის ხოლმე, სადაც მშენებლობის ბედი წყდება. დადის ნიელთა თავკაცი სამშენებლო ობიექტებზე და მის მზერას არაფერი რჩება შეუმჩნეველი ზეპირად იცის, რომელ კუთხე-კუნჭულში რა კეთდება, ვის რა უჭირს და რა ულხინს, ვის სულში რაგვარი აზრები ბუდობენ...

ყველგან, მაგრამ მშენებლობაში განსაკუთრებით, საჭიროა, რომ ხელმძღვანელი იყოს ინიციატივიანი, ჰქონდეს უტყუარი ალღო და ოპერატიულობა. ყოველივე ეს მით უფრო აუცილებელია აქ, ტაიგაში, საიდანაც ჯერ კიდევ ასეულობით კილომეტრი უნდა განვლო, რათა დიდ სამყაროს დაუკავშირდე.

ნიელთა თავკაცის დასახასიათებლად მხოლოდ ერთ ეპიზოდს მოგიყვებით.

საშინლად გადაირია ამ გაზაფხულზე მდინარე ნია, ზათქით და ღრიალით მიაწყდა ქალაქ ზვიოზდნისთან მდებარე ხიდს და მთლიანად წალეკა იგი.

ზვიოზდნი 100 კილომეტრით არის დაშორებული დასავლეთ ბამის მთავარ მომმარაგებელ ქალაქს უსტ-კუტს და პირველი პუნქტია ამ ტრასაზე. უამრავი სამშენებლო ობიექტებია განლაგებული ზვიოზდნის ტრასაზე, ერთ-ერთი მათგანია ნია-გრუზინსკაია, რომელიც ხიდის წალეკვის შემდეგ სრულიად მოწყვეტილი დარჩა უსტ-კუტთან დამაკავშირებელ ერთადერთ სახმელეთო გზას. მდგომარეობა მეტად დაიძაბა.

ანზორ დვალიშვილმა სასწრაფო თათბირი მოიწვია.

— ამ ტრასის უმოქმედობა წარმოუდგენელია. რამე უნდა ვიღონოთ, — ჩაფიქრებით თქვა მექანიზაციისა და ტრანსპორტის უბნის უფროსმა რამის მაქარაშვილმა.

— მართალია, — მაშინვე დაეთანხმა ანზორ დვალიშვილი, — ახლავე წავიდეთ და ნიაზე დროებითი ხიდი გავდოთ.

— ნია ისევ რომ ადიდდეს? — ყრუდ ჩაილაპარაკა ვიღაცამ.

ანზორი გაცხარდა, მაგრამ თავი შეიკავა და დინჯად წარმოთქვა:



პეტია ერთობა.

— თქვენ იცით, რამდენს ზარალობს სახელმწიფო ამ ხიდის წალეკვის გამო, თუნდაც ერთ დღეში? ბევრს ძალიან ბევრს! ხიდი უნდა აღვადგინოთ, ვიდრე ზვიოზდნიდან მიიღებენ რაიმე ზომებს. დროებითი ხიდის გადება ერთ დღეში აანაზღაურებს ხარჯებს... მერე დაე ისევ ადიდდეს ნია... ვინ მოდის ჩემთან.

ორი დღე-ღამე თვალი არ მოუხუჭავთ ქართველ მშენებლებს, გაალმასებულები ეჭიდებოდნენ საქმეს. მესამე დღეს კი საიმედოდ აღსდგა სამანქანო გზა და ავტომანქანათა უწყვეტი კოლონები დაიძრნენ უსტ-კუტსიდან...

ვფიქრობთ, ეს ერთი ეპიზოდიც საკმარისია, ნიელთა თავკაცისა და მისი მეგობრების შეუპოვრობის დასახატად.

## ევგენი ევტუშენკო ნია-გრუზინსკაიაში

დილის შვიდი საათი იყო. ლაფში ამოსვრილი ჩექმებით, საკმაოდ დაძველებული კურტკითა და ფარფლებიანი ქუდით ევგენი ევტუშენკო ნიელთა ახლად აგებული სახლის ერთ-ერთ ოთახში შევიდა.

ჯერ კიდევ ლოგინში იწვნენ რევაზ კიკაბიძე და დაბის მთავარი ექიმი თამაზ ურუშაძე.

თამაზი გუშინ მთელი დღე სანტექნიკს ელოდა და ოთახში შემოსული რატომღაც სანტექნიკი ეგონა.

— გამარჯობა- — წარმოთქვა სტუმარმა.

— აჰა, მობრძანდი, ვაჟბატონო? ახლავე საავადმყოფოში მიბრძანდი და ონკანი შეაკეთე! — გაავებით ჩაილაპარაკა მთავარმა ექიმმა.

გაოგნებული ევგენი რევაზს მიუბრუნდა:

— მე ევტუშენკო ვარ.

— რა გნებავს მერე? — ახლა რევაზმა აიმაღლა ხმა, — ვინც გინდა ის იყავი, წადი და ონკანი შეაკეთე!

— ლექსების წერა უფრო მეხერხება, ვიდრე ონკანის შეკეთება, — მორიდებით ჩაილაპარაკა მოსულმა, — ის კი ვიცი, რომ ქართველები სტუმართმოყვარე ხალხია...

— ჯერ გააკეთე ონკანი და მერე გადაჰკარი! — თავისას არ იშლიდა მთავარი ექიმი.

განცვიფრებულმა ევგენიმ რაღაცის თქმა დააპირა, მაგრამ ამ დროს ოთახში ანზორ დვალიშვილიც შემოვარდა.

— ძლივს მოგაგენით! — ღიმილით მიეგება დვალიშვილი „სანტექნიკოსს“.

სამი დღე გაგრძელდა ევგენი ევტუშენკოს სტუმრობა ნია-გრუზინსკაიაში, სამი დღე ონკანის შეკეთების ამბავს იხსენებდნენ, სიცილით იგუდებოდნენ სტუმარიცა და მასპინძლებიც.

შრომის ამაღლებული პათოსი და გმირული შემართება, შესანიშნავად მოწყობილი ბინები, გათბობა და განათება, სასმელი წყალი და კანალიზაცია, ფიცარნაგები, მისასვლელი ბილიკები და აბანო, სასადილო და პურის საცხობი... ყველგან და ყველაფერში წესრიგი, სისუფთავე და ქართული სტუმართმოყვარეობა, აი რამ აღაფრთოვანა ცნობილი რუსი პოეტი, რომელმაც გულთბილი სიტყვები უძღვნა ქართველ მეგობრებს.

— შეხედე, ლონია! — უთხრა ევგენიმ ერთ დილით თავის თანმხლებ — გაზეთ „იზვესტიის“ ირკუტსკელ კორესპონდენტს, — როგორ ფაქიზად და ლამაზად არის ყველაფერი გაკეთებული... არ დაგავიწყდეს, ესენი ქართველები არიან!..

მალე შესანიშნავი პოეტური სტრიქონებით გადმოგვცა პოეტმა ევგენი ევტუშენკომ ნია-გრუზინსკაიაში ნანახი და განცდილი ამბები, ბამის მშენებლობისადმი მიძღვნილ პოემაში — „გზაჭრილი“.

## პეტია

ნია-გრუზინსკაიაში ზაფხულობით ნახევრად თეთრი ღამეებია. არის პერიოდი, როცა მზე ღამის სამ საათზეც კი ამოდის. ჰოდა, გარეშე კაცს ძალზე ეხამუშება, მზე რომ შუბისტარზე დგას და დაბაში კი ჩამი-ჩუმიც არ ისმის.

„რუსთაველის გამზირზე“ ამ დროს ხშირად ბაკაბუკით მისეირნობს თხა, რომელსაც თავისი ამალა—ორი კოხტა ძაღლი მისდევს.

მიაბაკუნებს პეტია, მისდევენ ძაღლები და მათი ხმაური ეფინება გარემოს.

პეტია ყველას უყვარს აქ.

— ჩვენი დარაჯიც ეს არის და განთიადის მაცნეც, — მიხსნიან ნიელები.

პეტია პირველი შინაური ცხოველია, რომელიც ნია-გრუზინსკაიაში დაბინავდა.

ერთხანს მოიწყინა თურმე თხამ, მოძმეთა უნახავად გაუჭირდა ყოფნა. ყველანი ეფერებოდნენ. თავს ევლებოდნენ და პეტიაც მალე შეეჩვია გარემოს. ახლა იგი ნიელთა ყველა ბინაში თავისუფლად დაბრძანდება. პეტია ყველაზე უფრო მშენებლობის საწარმოო განყოფილების უფროსს ჯემალ ფალავას დაუმეგობრდა.

— პეტია! — გასძახებს ხოლმე ჯემალი და თხაც. თუ ყური მოჰკრა ამ დაძახებას, კილომეტრს იქითაც რომ იყოს, უმალ მოირბენს ხოლმე ჯემალთან.

— პეტიას დანახვაზე სამეგრელოს ორღობეები წარმომიდგება ხოლმე თვალწინ, — ღიმილით მეუბნება ჯემალი.

მხოლოდ ერთ კაცს გაურბის თხა. ეს კაცი მშენებლობის მთავარი ინჟინერი ალექსანდრე ულუხანოვია.

ადრე თურმე პეტია ალექსანდრესთანაც მეგობრობდა, მის სახლში დაუკითხავად შედიოდა, მაგრამ...

ერთ დღეს ალექსანდრეს ოთახის კარი ღია დარჩენოდა, პეტია შესულიყო, კედელზე გაკრული მშენებლობის სქემები მოსწონებოდა და ნეკერივით ჩაეხრამუნებინა.

განრისხებულმა ალექსანდრემ თხას გემოზე უთავაზა.

— რა არ ვცადე იმის შემდეგ, მაგრამ პეტიას გული ველარ მოვიგე, — გულდაწყვეტით ამბობს ალექსანდრე.

შრომაში გართული მშენებლები ყოველთვის ნახულობენ პეტიას მოსაფერებელ დროს.

## შთამაგონებელი დოკუმენტი

გადაწყდა, ჩვენი რესპუბლიკიდან წარაგზავნილების მიერ აგებულ დასახლებას ნია-გრუზინსკაია შეერქმევა.

ნია-გრუზინსკაიაში ჯერ კიდევ არ აკიაფებულა ცისფერი ეკრანი, არც რადიოსა და ტელეფონის ხაზებს მოუღწევიათ იქამდე.

ინფორმაციის ერთადერთი წყარო აქ ამჟამად პრესაა.

იმ დღესაც ჩვეულებრივად მოვიდნენ ნიელები ჯიხურთან, გაზეთები გაშალეს და ერთბაშად გამოცოცხლდნენ.

სულმოუთქმელად წაიკითხეს გაზეთ „პრავდაში“ გამოქვეყნებული სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილება „თუ როგორ ასრულებს საქართველოს პარტიული ორგანიზაცია სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებას პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის ორგანიზატორული და პოლიტიკური მუშაობის შესახებ“.

მთელი ნია აღაფრთოვანა იმ მაღალმა შეფასებამ, რაც სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა მისცა საქართველოს პარტიული ორგანიზაციის მიერ გაწეულ მუშაობას იმ ნეგატიური მოვლენების წინააღმდეგ ბრძოლაში, რასაც ადგილი ჰქონდა რესპუბლიკაში ახლო წარსულში.

დადგენილების პასუხად ნიელებმა სადღეღამისო მუშაობა მოაწყვეს ძირითადი ობიექტების მშენებლობაზე, რათა დაზამთრებამდე რაც შეიძლება ბევრი შენობის საფუძველი ამოეყვანათ, რომ შემდეგ არ შეფერხებულიყვნენ.

იწყება სამუშაო დღე და ცარიელდება დაბა.


ეროვნული ბიბლიოთეკა

კოცონთან.

ბავშვები სკოლაში მიეშურებიან. საქართველოდან ჩასული რამდენიმე პედაგოგი, წარსულში სახელგანთქმული სპორტსმენის ნადეჟდა დვალიშვილის მეთაურობით, ბავშვთა აღზრდის კეთილშობილურ საქმეს ემსახურებიან. დოდო ჭუმბურიძე, მარიკა კაპანაძე, ციალა კიკნაძე, თამარ მგელაძე ჯანმრთელობის სადარაჯოზე დგებიან...

მოედნის ბოლოს მიწას ეჭიდება ბულდოზერი, რომელსაც ოსტატურად მართავს ზინოვია გაგარინი, შუაგულში ჭარასავით ტრიალებენ ახალგაზრდული კომპლექსური ბრიგადის წევრები: ავთანდილ ლომიძე, გურამ ჩაკვეტაძე, ავთანდილ ადეიშვილი, რევაზ თამაზაშვილი, ევტიხი აიწურაძე, ნუგზარ ქობალია, სერგო ლილუაშვილი, მურმან ბარაბაძე, გოგიტა ნადირაძე. ისინი საფუძველს ამზადებენ სამსართულიანი კაპიტალური შენობისათვის. მოედნის დასაწყისში კი მოწინავე ავტომძღოლები ბიქტორ ფილია და ბიჭიკო თხელიძე შეუფერხებლად ეზიდებიან, ყალიბებში ასხამენ ბეტონის ხსნარს...

დაბაში პეტია და ძაღლები დარჩენილან. დროდადრო ჩაუვლიან დაბის ქუჩებს, ამაყად გასცქერიან მიდამოს, ხალხის შინ დაბრუნების მოლოდინში არიან.

ფართო ფრონტით არის გაშლილი შენება ნია-გრუზინსკაიაში, უკვე იკვეთება მომავალი დაბისა და რკინიგზის სადგურის კონტურები. გაივლის ორიოდე წელი და საუკუნის დიად მშენებლობაზე დარჩება ნია-გრუზინსკაია ქართველთა თავდადებული შრომის უკვდავ ძეგლად.

გიგლა აბდალაძე
ნია-გრუზინსკაია



ეს სურათი ნიკოლოზ ტიხონოვმა წინანდალში ყოფნის დროს (1955 წ. მაისი) უსახსოვრა ცნობილ აგრონომ-დეკორატორს ირაკლი ხმალაძეს. სურათი ქვეყნდება პირველად.

# ჩვენი ტიხონოვი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნიკოლოზ ტიხონოვზე ბევრი შეიძლება ითქვას და დაიწეროს. ნახევარი საუკუნეა გულწრფელად მეგობრობს იგი ქართველ ხალხს და უპირველესად მის მწერლობას. ნიკოლოზ ტიხონოვი ხალხთა ძმობის ჭეშმარიტი ბურჯია და დაუღალელი შემოქმედი. კავკასია, კერძოდ კი საქართველო მისთვის მშობლიური მხარეა, სადაც მას უთვალავი მეგობარი ეგულება. ჩვენი საუკუნის რუს დიდ შემოქმედთაგან ერთერთი პირველი ეძმო იგი საქართველოს და მის პოეზიას. და აგერ, ოთხმოც წელს მიღწეული ბერიკაცი კვლავ ახალგაზრდული გულმხურვალებით ეწევა მძიმე და ფასდაუდებელ ჭაპანს ამ ძმობისას და ჩვეული ენერგიით აღუღაბებს სიყვარულის ტაძარს, რომელსაც ჩვენ ხალხთა მეგობრობას ვეძახით.

ნიკოლოზ ტიხონოვი დიდი და გულმართალი პოეტია. ალბათ, ალბათ კი არა, სწორედ მისმა დიდმა წინაპრებმა შთაუნერგეს ახალგაზრდა შემოქმედს საქართველოსადმი სიყვარული. სიჭაბუკის წლებიდან მოყოლებული ხშირი სტუმარი იყო იგი საქართველოს მთისა და ბარისა. არ არსებობს კუთხე ჩემი რესპუბლიკისა, ფეხით არ მოევლოს ნიკოლოზ ტიხონოვს და თავის ფრიად საინტერესო შემოქმედებაში არ ეპოვოს ბუდე ამ მოგზაურობათა შთაბეჭდილებებს და უპირველესად შთაგონებას.

ჭეშმარიტი პოეტური შთაგონება კი ყოველთვის იყო მისი განუყრელი თანამგზავრი სიჭაბუკეში, ომამდე. ომის შემდეგაც და ახლაც, სიჭარმაგეშიც. სიბერეს მის პოეტურ მუზას ჯერ ვერ შევკადრებთ, რადგან ამის უფლებას არ გვაძლევს მისი ბოლოდროინდელი პოეზია.

რვა ათეული წელიწადი აწევს მხრებზე ნიკოლოზ ტიხონოვს და აქედან ექვსი ათეული წელიწადი დაუხარჯავს პოეზიისათვის, ისე რომ დაღლა არ უგრძვნია მის სტრიქონებს. და არც ხანდაზმულობის სუსხს არ დაუკრავს მისი გონებისათვის, თუმცა ნაადრევი ჭაღარა ადრეც ამშვენებდა სრულიად ახალგაზრდა პოეტს. ასეთი ახსოვთ იგი ქართველ მეგობრებს მისი გაცნობისა და დამეგობრების პირველი დღიდან.

დღეს, ისევ გულისყურით ვფურცლავ პოეტის მიერ ჩემდამი მიძღვნილ წიგნს ათიოდე წლის წინათ რომ მისახსოვრა თბილისში. მაშინ ნიკოლოზ ტიხონოვი საქართველოში მოიწვიეს, რათა მისთვის გადაეცათ ჩვენი ყველაზე დიდი ეროვნული ჯილდო — რუსთაველის პრემია, რომლის პოეტისათვის გადაცემას გულმხურვალედ შეეგება ქართველი საზოგადოებრიობა.

ქართველი მკითხველი ნიკოლოზ ტიხონოვს „ოქრდადან" და „ბრაგადან" იცნობს და ამ პირველი შესანიშნავი წიგნებიდანვე გახდა იგი ახლობელი პოეზიის მოყვარულთათვის. ხოლო შემდეგ საქართველოსადმი მიძღვნილი წიგნებით, როგორც თვითონ ამბობს „გასდო ძმობის ცისარტყელა". ამ ლექსებმა დაამშვენა თანამედროვე რუსული პოეზია და ითქვა ახალი სიტყვა მთელს საბჭოთა მრავალეროვან პოეზიაში.

ნიკოლოზ ტიხონოვი ერთერთი პირველთაგანია, რომელმაც დაუდო სათავე ქართული პოეზიის თარგმნას რუსულ ენაზე. ბორის პასტერნაკთან, ნიკოლოზ ზაბოლოცკისთან და სხვა გამოჩენილ ოსტატებთან ერთად მან შესძლო გაეცნო რუსი მკითხველისათვის მანამდე უცნობი სამყარო — ძველი და ახალი ქართული პოეზია. რუსული ენის მეშვეობით სხვა მოძმე ერთა შვილებისათვის ახლობელი გახდა ქართული ლექსი. ეს კი უკვე ბევრს ნიშნავდა და არ შეიძლება მას ჩვენს კულტურულ ცხოვრებაში დიდი მოვლენა არ ვუწოდოთ.

დავუბრუნდეთ ისევ ნიკოლოზ ტიხონოვის პოეზიას, კერძოდ მის ლექსებს საქართველოზე. მოვიგონოთ პოეტის სიყვარულითა და შთაგნებით გამთბარი სტრიქონები ჩვენს ხალხზე, ადამიანებზე საქართველოს ბუნებაზე. მოვიგონოთ ტიხონოვის ლექსები კავკასიონზე, სვანეთზე. დიდებული კახეთის ციკლი და „საქართველოს გაზაფხული". ეს ხომ ჭეშმარიტი ჰიმნია ძმობისა, სიყვარულით გამსჭვალული და შთაგონებით ფრთაშესხმული.

დიდი ღვაწლი მიუძღვის მხცოვან შემოქმედს ქართული კულტურის, კერძოდ ქართული სიტყვა-კაზმული მწერლობის პროპაგანდის საქმეში. იგი იყო მრავალგზის ინიციატორი და სულისჩამდგმელი ქართული წიგნების რუსულ ენაზე გამოცემისა. მან გზა გაუკვალა მრავალ ღირსშესანიშნავ ქართულ ნაწარმოებს საკავშირო სარბიელზე, არ დააკლო ყურადღება და მზრუნველობა ქართულ ლექსსა და მოთხრობას.

საქართველოს რომელ კუთხეში არ ჰყავს ნიკოლოზ ტიხონოვს უთვალავი მეგობარი და პატივისმცემელი. იგი ხომ საკუთარი ხელის გულივით იცნობს საქართველოს, უპირველესად მის გამრჯე ადამიანებს, რომელთა სიყვარული გადააქვს ლექსებსა და მოთხრობებში, წერილებსა და ნარკვევებში.

რამდენი დიდი ქართველი მწერლისა და მოღვაწის იუბილეს უხელმძღვანელა მოსკოვში, საკავშირო მასშტაბით ნიკოლოზ ტიხონოვმა და ყველგან და ყოველთვის ხარჯავდა უდიდეს ენერგიას, რათა ღირსეულად აღნიშნულიყო ეს ძმობისა და მეგობრობის თარიღები. იგი მუდამ გულწრფელი და გულღია მასპინძელია ქართველი მეგობრებისა.

ნიკოლოზ ტიხონოვი საუკეთესო შვილია დიდი რუსი ხალხისა, ღირსეული გამგრძელებელი დიდი წინაპრებისა. იგი რუსეთის დიდი ეროვნული პოეტია. პოეტი — ინტერნაციონალისტი და ხალხთა ძმობის ჭეშმარიტი მქადაგებელი. ამიტომ უყვართ იგი სამშობლოში და მის ფარგლებს გარეთაც. ამიტომ ამბობენ ჩვენში მასზე სიყვარულით:

— ჩვენი ტიხონოვი...

რევაზ მარგიანი

ნიკოლოზ ტიხონოვი

## მთებში

კვლავ ვესალმები მაღალ მწვერვალებს,
პირველი თოვლის გამობრწყინებას,
ჯადოქარ ტყეს და კლდეს მოელვარეს,
ხერთვისთან ორი ჩქერის დინებას.

ყველა მთა ჰყვება საოცარ ამბავს,
თვით ნაკადულიც ჰქუხს სიწყნარეში
და მიამბობენ ყველანი ალბათ,
თუ რა გარდახდათ მათ ჩემს გარეშე.

ვისმენ ფოთლების საოცარ შრიალს,
ჩანჩქერი ცვივა კლდიდან შხეფებად.
ციცაბოებზე ფანტელი ჰყრია
და ლოყას მთების სუნთქვა ეხება.

ვისმენ თქვენს ამბავს, რა საკვირველი
თქმულების, ზღაპრის აქვს ბრწყინვალება.
ისევ კარგი ხართ, როგორც პირველად,
ძველად გიხილეს ჩემმა თვალებმა.

მესაუბრებით, ცის სილურჯეში
პირველი თოვლის შუქი ციალებს
და ყოველ ახალ საუკუნეში
უფრო მეტს ეტყვით ადამიანებს.

თარგმნა რ. მარგიანმა



ეროვნული ბიბლიოთეკა

თბილისი. 1966 წ. რუსთაველის საიუბილეო დღეები. მარცხნიდან: გრ. აბაშიძე, ა. მირცხულავა. გ. მარკოვი, ა. სურკოვი და ნ. ტიხონოვი.



ს. შანშიაშვილი
და
ნ. ტიხონოვი



ა. სურკოვი,
ო. გონჩარი,
ნ. ტიხონოვი
და
ს. ქილაია.
1966 წ.
თბილისი.



1961 წ.
ჩარგალი.
გ. ლეონიძე.
ნ. ტიხონოვი
და
მომღერალი
ი. ზაქაიძე.

დგანან: ი. მოსაშვილი, ა. ქუთათელი, ს. ჩიქოვანი, სხედან: მ. შანშიაშვილი, ნ. ტიხონოვი, ე. ტიხონოვა და ს. შანშიაშვილი.



ეროვნული ბიბლიოთეკა





თხამ ვენახი შეჭამა.

პაემანი.



სერვიზი.

არწივი.



# ელგუჯა გაგოშიძე

ყვავილების კალათა.



ეროვნული ბიბლიოთეკა

# ზღაპარი ქვიშისგან... მინა

ჭეშმარიტი ხელოვანი მინას „სულს“ ჩაადგმევინებს და აამეტყველებს ხოლმე...

თვითნასწავლი მხატვრის ელგუჯა გაგოშიძის ბინაზე მინის ჩარჩოსა თუ თაროებზე ფერადი მინის მხატვრული ნამუშევრებია გამოფენილი. ერთი კუთხე ქართულ ზღაპრებს აქვს დათმობილი. აი, მინისაგან გამოძერწილი მინიატიურული „მელა და ყურძენი“, „მელა და დედაჩიტი“, „ყოყლოჩინა თხები“, „თხა და გიგო“, „თხა და ვენახი“ და ა. შ.

ცალკე კარადა აქვს დათმობილი აფრიკის კუთხეს. თვალს იტაცებენ ფერადი მინით ოსტატურად შესრულებული აფრიკის ცხოველები და ფრინველები. ავტორს მათთვის ფერადი მინის მცენარეთა სამყაროც შეუქმნია — პალმებისა და კაქტუსების ჯუნგლებში სპილოებს თავყრილობა აქვთ; აგერ, ანცი მაიმუნი ლიანებით დახლართულ ხეზე შესკუპებულა.

მდიდარი ფანტაზია, შესრულების მაღალი ტექნიკა და ფერთა შერწყმის ჰარმონიულობა ნათლად ჩანს ვაჟა-ფშაველას „შვლის ნუკრის“ მოტივებზე შესრულებულ „ნაკადულზე“. მინაში გაცოცხლებულია ბუნების მთელი სურათი — მორაკრაკე ნაკადული, ხავსმოდებული, ამწვანებული მდელო, იუველირული სინატიფით შესრულებული მდელოზე გაფანტული ფერადი ყვავილები, სოკოები და რაც მთავარია, ნაკადულის ხილვით გაოცებული შვლის ნუკრი.

ელგუჯა გაგოშიძე საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის ელექტროქიმიის კათედრის ლაბორანტია. იგი სხვადასხვა ცდებისათვის მინის ჭურჭელს ამზადებს. თავისუფალ დროს კი საყვარელ საქმეს — ფერადი მინის მხატვრულ ნაკეთობას ანდომებს.

როგორც ცნობილია, მინიატურული ფორმის ყალიბები არ არსებობს; მაშ, როგორ შეძლო ასეთი მრავალფეროვანი გამოსახულებებისა და მთელი კომპოზიციების შექმნა მხატვარმა?

მინის მასალა მხატვარს პლასტიკურობამდე დაჰყავს, შემდეგ კი თიხასავით ძერწავს სასურველ ფიგურებს. ფერადოვნებას კი ჟანგეულების სხვადასხვა მინარევისაგან იღებს. მაგალითად: კობალტი ლურჯ ფერს იძლევა, ხელენის მარილი — მოყვითალო-მოწითალოს, სპილენძი - მოწითალო-მომწვანოს, სხვადასხვა ტემპერატურაზე ვერცხლი ყავისფერს იძლევა, თან ბრწყინვალება დაჰკრავს.

ელგუჯა გაგოშიძეს ხატვა ბავშვობიდანვე ჰყვარებია, მართალია, პროფესიული განათლება არ მიუღია, მაგრამ თავისთვის ყოველთვის ხატავდა, ძერწავდა, როცა ლაბორატორიაში დაიწყო მუშაობა, სურვილი დაებადა მინისაგან მინიატიურული ცხოველები გამოეძერწა...

მისი ნამუშევრები მოწონებიათ, წაუხალისებიათ და აი, მხატვარს ფაშიზმზე გამარჯვების 30 წლისთავთან დაკავშირებით, როგორც სამამულო ომის მონაწილეს, პირველი პერსონალური გამოფენა პოლიტექნიკურ ინსტიტუტში მოუწყვია. მერე პერსონალური გამოფენა სურამში გამართულ მინის ტარის ქარხნების გაერთიანებულ კონფერენციაზე მოაწყო, მესამე — საქართველოს ხელოვნების მუშაკთა სახლში.

მესამე პერსონალურ გამოფენაზე ელგუჯა გაგოშიძე დამთვალიერებელთა წინაშე უფრო ხელხვავიანად — 109 ნამუშევრით წარსდგა. ფერადი მინის სხვადასხვა სახის მინიატიურული ფორმის სურების, სასმისების, ლარნაკების, ორიგინალურ საწერ კალმებთან და საყვავილეებთან ერთად ფართოდ წარმოადგინა სამამულო ომის თემაზე შესრულებული საბრძოლო ეპიზოდების ამსახველი ნამუშევრები.

საქართველოში, როგორც ცნობილია, მინის მხატვრული დამუშავების ტექნოლოგიას დიდი ხნის ტრადიცია აქვს, რასაც არქეოლოგიური გათხრების შემდეგ მოპოვებული მასალები მოწმობს.

ელგუჯა გაგოშიძემ აღადგინა მინის დამუშავების ძველი ტექნოლოგია და მრავალი საინტერესო ჭურჭელი დაამზადა, რაც მნახველში დიდ ესთეტიკურ სიამოვნებას იწვევს.

ლარისა ხუხულური



ელგუჯა გაგოშიძე.



# დიდი მკურნალის ცხოვრებიდან

შესრულდა ასი წელი გამოჩენილი თერაპევტის, შესანიშნავი მკურნალის, პედაგოგის, მეცნიერისა და საზოგადო მოღვაწის, აკადემიკოს **ალექსანდრე სტეფანეს-ძე ალადაშვილის** დაბადებიდან.

დიდმა მკურნალმა შვიდ ათეულ წელზე მეტი იცხოვრა, ამ ხნის მანძილზე თავისი შეგნებული ცხოვრება ხალხის სამსახურს მოახმარა. თავის მრავალმხრივ მოღვაწეობაში ალ. ალადაშვილი უპირველესად ბრწყინვალე მოქალაქე, უებარი მკურნალი გახლდათ.

გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“ გამოსაცემად ამზადებს **გივი ბახტაძისა და ვლადიმერ გერსამიას** მონოგრაფიას **„ალექსანდრე ალადაშვილი“**.

გთავაზობთ ზოგიერთ ეპიზოდს ამ წიგნიდან.

...ალექსანდრე ალადაშვილი იმ მეცნიერ მედიკოსთა რიცხვს მიეკუთვნება, რომელთა უშუალო ინიციატივით ჩამოყალიბდა უნივერსიტეტის სამედიცინო ფაკულტეტი.

...ძნელი და მძიმე დრო იდგა. უნივერსიტეტს სამკურნალო ფაკულტეტის გასახსნელად არ გააჩნდა სახსრები, არ ჰქონდა სამეცნიერო ბაზები, არ ჰყავდათ პედაგოგთა კადრები; პედაგოგთა შერჩევა დაევალათ სპირიდონ ვირსალაძეს, პეტრე მელიქიშვილს, ალექსანდრე ნათიშვილსა და ალექსანდრე ალადაშვილს.

ალ. ალადაშვილმა და ალ. ნათიშვილმა დააზუსტეს რუსეთში მცხოვრები ორმოცდათხუთმეტი ექიმის მისამართი, დაწერეს ბარათები და დაუგზავნეს მათ. სულ მალე ექიმებმა ჩამოსვლა იწყეს.

ალ. ალადაშვილი იგონებდა: „ადგილიც არ გვქონდა, ეს ხალხი რომ მიგვეღო და საქმეზე გვესაუბრა. მაშინ ალ. ნათიშვილმა სამკურნალო ფაკულტეტისთვის გამოჰყო ერთი პატარა კუთხე, მაგრამ ახლა მაგიდა, სკამები, კარადა დაგვჭირდა. მე და ალექსანდრე ნათიშვილი ყარაიაზში (ბორჩალოში) გავემგზავრეთ სამუშაოდ, სადაც მალარია მძვინვარებდა. მძიმე პირობებში გვიხდებოდა მუშაობა, მაგრამ ვიდრე დაავადება არ შევამცირეთ, იქაურობა არ მივატოვეთ.

თბილისში ჩამოვედით თუ არა, საკომისიოსაკენ გავეშურეთ და ყარაიაზში მიღებული ხელფასით მაგიდა და სკამები ვიყიდეთ. მივიტანეთ უნივერსიტეტში და სამკურნალო ფაკულტეტის კუთხე ასე მოვაწყვეთ“.

* * *

...იქნებ მკითხველისათვის არ იყოს ინტერესმოკლებული, თუ რა აზრისა გახლდათ ალექსანდრე ალადაშვილი ჩვენში დისერტაციის დაცვაზე და ეგრეთწოდებულ „დესერტაციებზე“.

„იმ დროს, — იგონებს ალ. ალადაშვილი (ლაპარაკია იმ წლებზე, როცა მან სადოქტორო დისერტაცია დაიცვა) — დისერტაციის დაცვას აკადემიური ხასიათი ჰქონდა და არ იყო მიღებული ის ახირებული „პურ-მარილი“, რომელმაც ჩვენში, სამწუხაროდ, სავალდებულო ხასიათი მიიღო. მე ყოველთვის მაღელვებს, როცა აკადემიურ საქმეს ასეთი

პრიმიტიული, ძმა-ბიჭური დამთავრება მოსდევს. ეს არის ჩვენი დამახასიათებელი თავისებურება, რომელმაც, სამწუხაროდ, მტკიცე „მოქალაქეობრივი უფლება“ მოიპოვა.

დისერტანტები პაექრობამდე არიან ქეიფის სამზადისში, ვითომ დადებითი დასკვნა უკვე უზრუნველყოფილია. საინტერესოა, რა ბედი ეწევა მთელ ამ სამზადისს, თუ დისერტაციის დაცვა უარყოფითად ჩათავდა. თუმცა, სამწუხაროდ, დღეს დისერტაციის დაცვა ისეა მოწყობილი, რომ ოპონენტობა უფრო წყლის ნაყვას მოგვაგონებს.

როგორც ჩანს, გამოსავალი ერთია: დისერტაციის დაცვა უნდა მოხდეს სხვა რესპუბლიკაში. ასეთი გადაწყვეტილება უნდა მიიღოს ცენტრმა და განახორციელოს ბრძანებით. მე მინდოდა დამესვა ეს საკითხი, მაგრამ მაშინვე წარმოვიდგინე რა კარგი ნიადაგია ეს დემაგოგისთვის, რამდენი „მაღალი“, „კეთილშობილური“ აზრები იქნება წარმოთქმული და სურვილი გამინელდა. თვით პაექრობა ახირებულად მიმდინარეობს. ოპონენტები უმრავლეს შემთხვევაში კარგად არჩევენ დისერტაციას, ბევრ საღ და საჭირო შენიშვნას იძლევიან, მაგრამ ბოლოს დისერტანტი არსებით კრიტიკას ცნობად „იღებს“ და ყველაფერი ამით თავდება... სამწუხაროდ, იქმნება აზრი, რომ ყველაფერი გადაწყვეტილია და პაექრობა ტრადიციულად მეორეხარისხოვანი დამატებაა. განა ორი ოპონენტის აზრი საკითხის ამომწურავია? უმრავლესობა კი როგორც ვხედავთ, დუმს და პასუხისმგებლობას მხოლოდ პირობით იზიარებს ორი წევრის მეშვეობით“.

* * *

...კვირაში ორჯერ პალატების შემოვლა, მძიმე ავადმყოფების ყოველდღე ნახვა ალ. ალადაშვილს წესად ჰქონდა შემოღებული. იგი ავადმყოფისადმი გულგრილობას არავის აპატიებდა. შემოვლის დროს, თუ ავადმყოფი ახალი მოყვანილი იყო და მკურნალი ექიმი პროფესორს პირველად ახსენებდა მის შესახებ, მაშინ მთლიანად დიფერენციალური დიაგნოზი უნდა გაეტარებინა შესაფერ დაავადებებთან. ავადმყოფობის ისტორია ისე უნდა ყოფილიყო შედგენილი, რომ ლექციაზე წასაკითხად გამოსდგარიყო.

ერთხელ შემოვლის დროს ალექსანდრე ალადაშვილი მძიმე ავადმყოფს არჩევდა. მკურნალ ექიმს, როგორც გამოირკვა, ავადმყოფისათვის ყველა ანალიზი არ ჰქონდა გაკეთებული და სისხლის ანალიზი არასწორად მოახსენა. პროფესორმა შეამჩნია ეს და ავადმყოფის გარჩევა რომ დაამთავრა, შემოვლა შეწყვიტა, დოცენტს მიუბრუნდა და უთხრა:

— რაღაც შეუძლოდ შევიქენი, ბატონო იოსებ, გთხოვთ, შემოვლა თქვენ განაგრძოთ!

დოცენტმა პალატის შემოვლა რომ დაამთავრა, პროფესორმა იგი კაბინეტში იხმო და თავისი გადაწყვეტილება გააცნო: ავადმყოფის მკურნალ ექიმს სამი თვე ეკრძალებოდა პროფესორის წინაშე ავადმყოფის წარდგენა. პალატის შემოვლა ასისტენტს დაავალა.

* * *

...ერთხელ ბატონმა ალექსანდრემ დერეფანში დაგდებული წამლის ქაღალდი დაინახა და აიღო. ქაღალდი იქამდე ეჭირა ხელში, სანამ შემოვლა არ დაამთავრა. მერე თავისი კაბინეტისაკენ გაეშურა. ჩვენ უკან მივყევით.

— მე რომ იატაკზე პაპიროსის ნამწვავი მენახა დაგდებული, დიასახლისს დავუძახებდი და დავავალებდი მეტი ყურადღება მიექცია სისუფთავისთვის. ეს ქაღალდი კი იმაზე მეტყველებს, რომ ექიმის თანაშემწემ ავადმყოფს წამალი თავისი ხელით არ დაალევინა, დატოვებული წამალი შეიძლება არ დალიოს ავადმყოფმა. ჩვენ კი გვგონია დალია და ახლა წამლის უმოქმედობაზე უნდა ვიფიქროთ, შემდეგ მის შეცვლაზე უნდა ვიზრუნოთ! — გვისაყვედურა პროფესორმა.

* * *

...ალ. ალადაშვილის, როგორც მასწავლებლის, როლი არ ამოიწურებოდა მისი შინაარსიანი ლექციებით. იგი მთელი თავისი მოღვაწეობით, ქცევით, ცხოვრებით მაგალითი იყო ახალგაზრდობისათვის. ათეული წლების განმავლობაში არ ყოფილა შემთხვევა, მას საპატიო მიზეზის გარეშე სამსახური, ან ლექცია გაეცდინა.

ვინც მის კლინიკაში (კამოს ქ. № 103) ყოფილა, უთუოდ ახსოვს ჰოლი, რომელიც ალ. ალადაშვილის კაბინეტის წინ იყო. დილის კონფერენციები ამ ჰოლში ტარდებოდა. ჰოლში იდგა გრძელი მაგიდა (ის ახლაც დგას), ამ მაგიდის თავში (ზუსტად ცხრა საათზე) იჯდა ხოლმე ბატონი ალექსანდრე, ბოლოში კი — კლინიკის უფროსი ასისტენტი, დოცენტი ი. პარმა, რომელსაც პროფესორის დავალებით მიჰყავდა კონფერენცია. აი, ასე დილიდანვე იძლეოდა პროფესორი მაგალითს საქმისადმი ერთგული დამოკიდებულებით.

* * *

ერთხელ ბატონ ალექსანდრეს მისი ასისტენტი ანა ელენტი შეეკითხა:

— რაო, ბატონო ალექსანდრე, სახლიდან გაგდებთ ვინმე, ასე ადრე რომ მობრძანდებით სამსახურში?

— მე, ჩემო ანეტა, ჩემი სინდისი და საქმისადმი ერთგულება მაგდებს სახლიდან, სხვა არავინ! — უპასუხა ბატონმა ალექსანდრემ.

* * *

... ერთი ექიმი ხშირად იგვიანებდა სამსახურში. ბატონმა ალექსანდრემ იხმო თავისი მოადგილე დავით სურგულაძე და დაავალა, გაეფრთხილებინა ექიმი.

დავით სურგულაძემ რამდენჯერმე უსაყვედურა ექიმს, მაგრამ მასზე არაფერმა არ გასჭრა, იგი კვლავინდებურად იგვიანებდა სამსახურში. მაშინ ბატონმა ალექსანდრემ გადაწყვიტა თვითონ მიეღო ზომები.

ერთ დღეს კარებში დახვდა სამსახურში დაგვიანებით მოსულ ექიმს.

— მიბრძანდით, ბატონო პროფესორო! — დაუთმო ექიმმა გზა პროფესორს.

— თქვენ თვითონ მიბრძანდით! — შეიპატიჟა პროფესორმა.

— არა, ბატონო, როგორ გეკადრებათ, თქვენ მიბრძანდით! — კვლავ გაიმეორა ექიმმა.

— ახლა მაინც მიბრძანდით ჩემზე წინ, თქვენ ხომ ვალდებული ხართ, ჩემზე ადრე მოხვიდეთ სამსახურში?! — უთხრა პროფესორმა და ექიმი წინ გაუშვა.

ექიმს იმ დღის შემდეგ სამსახურში აღარ დაუგვიანია.



ეროვნული ბიბლიოთეკა

# იოსებ იმედაშვილის დაბადების 100 წლისთავი

პირველი მოთხრობა 1924 წელს დავწერე. მოთხრობა „თეატრი და ცხოვრების“ რედაქციაში მივიტანე. ვიცოდი, ახალგაზრდა მწერლისთვის იოსებ იმედაშვილი საიმედო რედაქტორი იყო. რედაქციაში იოსების ვაჟი — შალვა იმედაშვილი დამიხვდა (იგი რედაქციის პასუხისმგებელი მდივანი გახლდათ). იოსები ავად იყო და მოთხრობა შალვას დავუტოვე. შალვამ მოთხრობა იქვე წაიკითხა და მითხრა: მოთხრობა მომეწონა, მაგრამ მამას უნდა ვაჩვენოო.

რედაქციაში ერთი კვირის შემდეგ შევიარე. შალვამ ღიმილით მითხრა:

— მამას მოეწონა თქვენი მოთხრობა და მორიგ ნომერში დაიბეჭდება. დასურათებისათვის კი ახალგაზრდა მხატვარს უჩა ჯაფარიძეს უნდა გადავცეთ!

უჩამ, მართლაც, კარგად დაასურათა მოთხრობა „სიმართლე“.

მოთხრობა რომ დაიბეჭდა, ისევ მივედი რედაქციაში. ისევ შალვა დამიხვდა. იოსები მოგვიანებით გამოჯანსაღდა. გავიცანით ერთმანეთი.

მას შემდეგ ჩვენ დიდი მეგობრები ვიყავით.

იოსები იყო კეთილი, გულისხმიერი, დიდბუნებოვანი, ახალგაზრდობის წამქეზებელი. იგი სკოლასაც ადევნებდა თვალყურს. აი, ერთი მაგალითი:

ოციან წლებში თბილისის ქალთა მეორე გიმნაზიაში ქართულ ლიტერატურას ვასწავლიდი. ერთხელ იოსებს ვუთხარი: დღეს ქალთა სასწავლებელში გამოსაშვები ზეიმი გვექნება და მობრძანდით-მეთქი. ქალის საკითხისადმი მიძღვნილ წარმოდგენასაც გავმართავთ — „ქალი წარსულში და ქალი საბჭოთა დროს“.

იოსები დაინტერესდა. მოვიდა. რეპეტიციას დაესწრო და სპექტაკლის ხელმძღვანელობა თავის თავზე აიღო.

სპექტაკლში მოწაფეები მონაწილეობდნენ, იოსებმა სპექტაკლის სურათები გადაიღო და თავის ჟურნალში დაბეჭდა. მოწაფეები შეაქო და გზა დაულოცა: „ქვეყნის ერთგული შვილები და პატრიოტი დედები გამოსულიყავითო“.

იოსებ იმედაშვილს მეტად მდიდარი და საინტერესო ბიოგრაფია აქვს. აი, ერთი მათგანი მისი ბიოგრაფიიდან, რომელიც ნინო ნაკაშიძისა და ია ეკალაძისაგან გამიგონია.

... დაიწყო ცხრაას ხუთის მღელვარე წელი. იფეთქა რევოლუციამ. იოსები რევოლუციის აქტიური პროპაგანდისტი და პრაქტიკული მუშაკი იყო. იგი კახეთში გლეხებს რაზმავდა მეფის მთავრობის წინააღმდეგ.

რევოლუცია რომ დამარცხდა, დაიწყო რეაქციის თარეში — მეფის ნაცვალმა გრაფმა ვორონცოვ-დაშკოვმა საქართველოს გენერალ ალიხანოვის დამსჯელი ჯარი შემოუსია. ალიხანოვი ცეცხლითა და მახვილით უსწორდებოდა აჯანყებულ ხალხს. ცეცხლი განსაკუთრებით გურიას მოედო.

იმ დროს იოსები სოფელ ხაშმში მამასახლისად აირჩიეს. მან გარე კახეთის სოფლის ვაჟკაცებისგან შემდგარი ცხენოსანი რაზმი შეადგინა და თბილისში ჩამოიყვანა. გარე კახეთის სოფლის მამასახლისებმა იოსები „მამასახლისთა მამასახლისად“ აღიარეს.

იოსებმა რაზმი მეფის ნაცვლის სასახლის წინ განაწყო და ნაცვალს მორიგე ოფიცრის პირით შეუთვალა: გთხოვთ, მიმიღოთ, სიტყვა მაქვს თქვენთანო.

ვორონცოვმა თანხმობა განუცხადა. იოსები ვორონცოვს წარუდგა. აი, დგანან ერთმანეთის პირისპირ რუსეთის იმპერიის წარმომადგენელი გრაფი

ვორონცოვ-დაშკოვი და რევოლუციის წარმომადგენელი — მწერალი იოსებ იმედაშვილი. იოსები ვორონცოვს ეუბნება:

— გთხოვთ, ჩააქროთ ცეცხლი გურიაში! გამოიყვანოთ დამსჯელი რაზმი! ანდა ჩვენ, კახელები, იძულებული ვიქნებით, წავიდეთ გურიაში ჩვენი ძმების დასახმარებლად... სხვა გზა არა გვაქვს!..

ვორონცვმა ახედ-დახედა იოსებს და დინჯად წამოსთქვა:

— კარგით! შევასრულებ თქვენს მოთხოვნას! ახლა კი დაუბრუნდით თქვენს ოჯახებს!..

ვორონცოვმა სიტყვა შეასრულა... რეაქციის გამარჯვების შემდეგ კი იოსებ იმედაშვილი დააპატიმრეს.

* * *

1910 წელს იოსებ იმედაშვილი გაასამართლეს და ოთხი წლის კატორღა მიუსაჯეს. იოსებს გულის მანკი აღმოაჩნდა და კატორღა ციხით შეუცვალეს. ეს ოთხი წელი იოსებმა მეტეხში დაჰყო. აქ ის სტამბაში მუშაობდა კორექტორად. როცა მეუღლე ბავშვებს მიუყვანდა სანახავად, მას, რომ არ გაქცეულიყო, ბორკილებს დაადებდნენ (ამას ამხანაგები აკეთებდნენ. გაქცევის ცდისათვის ბადრაგს უფლება ჰქონდა, ტუსაღი მოეკლა). იოსები კი საშიში ტუსაღი იყო და მის მკვლელს კიდევაც დააჯილდოებდნენ.

ციხიდან იოსები ოთხი წელი ხელმძღვანელობდა ჟურნალს — „თეატრი და ცხოვრება". როგორც პატიმარს, მას არ შეეძლო ჟურნალზე ხელის მოწერა, ჟურნალს ხელს აწერდა მისი მეუღლე ანნა ჟურული — „რედაქტორ-გამომცემელი".

ეს ოთხი წელი იოსებმა ვაჟკაცურად და მომავლის იმედით გადაიტანა... აღსანიშნავია ის, რომ იოსებისგან არასოდეს მსმენია ტრაბახი: აი, რა გადავიტანე... აი, როგორ ვუძღვებოდით ჩემს ჟურნალსო.

რესებით. არ იყო გაკილვა, გაკიცხვა, არც ერთმანეთის ქება, სადღეგრძელოები. ხანდახან შალვა ან ია შეესიტყვებოდნენ იოსებ იმედაშვილს (იოსები იმ ხანად ქართველ მოღვაწეთა ლექსიკონზე მუშაობდა).

— იოსებ, მავანი და მავანი ლექსიკონში არ გამოგრჩეს!

— არ გამომრჩება! — უპასუხებდა იოსები, — მიეზღვება კეისრისა კეისარს!..

ლაპიაშვილის დარაბის პირდაპირ სახაბაზო იყო. იქ ოთხი რაჭველი მუშაობდა. როცა მწერლები შევიკრიბებოდით, რაჭველები, რამდენიმე მწერალიც ვიყავით, იმდენ შოთ პურს მოიტანდნენ, მაგიდაზე დააწყობდნენ და ულოცავდნენ:

— ჩვენს მწერლებს გაუმარჯოს!..

დალევდნენ თითო ჭიქა ღვინოს და წავიდოდნენ.

სუფრაზე ყველაზე ჭაღარა და წვეროსანი იოსებ იმედაშვილი იყო. რაჭველებს ყოველთვის ის დაულოცავდა მარჯვენას.

ასე იყო ყოველ ხუთშაბათს.

იყო ეს მრგვალი მაგიდა დიდად მეგობრული, დიდად ადამიანური, კეთილმოსაგონარი. მწერლებს უხაროდათ უბრალო კაცთან გულის გადაშლა. უბრალო ხელოსანს, ისაკ ლაპიაშვილს, კი ეს სხვისი სიხარული ახარებდა.

* * *

იოსებს შედგენილი ჰქონდა ქართველ მოღვაწეთა ლექსიკონი. ეს ლექსიკონი ჩვენი კულტურის სარკეა.

ლექსიკონის შედგენაზე იოსებს დიდი შრომა და დრო ჰქონდა დახარჯული (როგორც ვიცი 50 წელი).

# გახსენება

* * *

სასამართლოს ქუჩაზე, ბესიკის ქუჩის გადასაკვეთთან, ოც-ოცდაათიან წლებში ცხოვრობდა და მუშაობდა დალაქი ისაკ ლაპიაშვილი. ლაპიაშვილი ქართული ლიტერატურისა და თეატრის დიდი მოყვარული იყო. პირადად იცნობდა და მეგობრობდა ბევრ მწერალთან. ჰქონდა არაჩვეულებრივი მეხსიერება და ლექსები ზეპირად იცოდა; ფოლკლორი ხომ იცოდა და იცოდა. ზოგი მეგობარი მწერალი მის უბანშივე ცხოვრობდა. ესენი იყვნენ: იოსებ იმედაშვილი, ია ეკალაძე, შალვა დადიანი, გრიგოლ ცეცხლაძე, ანტონ განჯისკარელი და ამ სტრიქონების ავტორი. ლაპიაშვილს ჩვეულებად ჰქონდა თვეში ერთხელ ან ორჯერ აუცილებლად ხუთშაბათობით, სუფრა გაეშალა ჩვენთვის (სადალაქოშივე).

ამ „ხუთშაბათობას" აუცილებლად ესწრებოდნენ გალაკტიონ ტაბიძე და გიორგი ქუჩიშვილი. ისაკი განა საგანგებო სუფრას გაშლიდა? არა, უბრალოს: ღვინო, ძეხვი, ყველი, მწვანილი. შემოვუსხდებოდით სუფრას, გაიმართებოდა ტკბილი საუბარი...

ერთხელ ლაპიაშვილს ვუთხარი: ისაკ, ჩაიწერე ეს მოგონებები. ხედავ, რა საინტერესოა, დავიწყებას არ მიეცეს-მეთქი. გაეცინა და მიპასუხა: მე ყველაფერი მახსოვს. ჩაწერა რად მინდაო.

მოგონებები, მართლაც, საინტერესო იყო. მარტო სახელები რად ღირს: ილია, აკაკი, ვაჟა, ნინო ნაკაშიძე, ვალერიან გუნია, ვასო აბაშიძე, ლადო მესხიშვილი, ნატო გაბუნია, მაკო საფაროვი-აბაშიძისა, შალვა დადიანი, ნიკო გოცირიძე... ვიგონებდით ისეთ სახელებსაც, როგორიცაა: ლევან ბალაშვილი, მელაშვილი, ჯილაური, ელისაბედ ერისთავი, ეკ. იოსელიანი, მელქო ლებანიძე, გიორგი ჯაბაური და სხვ. ამ მაგიდის წევრები ყველა მათი მოღვაწეობის მომსწრენი და თანამოაზრენი იყვნენ. ყველას პატივისცემით და ტკბილად იგონებდნენ. მოგონებებში ეპოქა ჩანდა თავისი მღელვარებით, ადამიანებით, ინტე-

ლექსიკონში შეტანილი იყო ყველა მოღვაწე, ვისაც კი ერთი აგური მაინც მოუტანია ქართული კულტურის ასაშენებლად. ლიტერატურულ-საზოგადოებრივ მოღვაწეობაში იოსებს არასოდეს არ შეუტანია პირადი ელემენტი — მავანი მომწონს, მავანი კი არაო... დიდი იყო მისი კეთილშობილება.

შალვა დადიანმა იოსებს სთხოვა, თეატრალურ საზოგადოებას დაგვითმე შენი ლექსიკონი და გამოვცემთო; რასაც მომთხოვ, მოგცემო. იოსებმა უარი განაცხადა: მე ფული არ მაინტერესებს... ჯერ კიდევ უნდა ვიმუშაოო.

შალვა დადიანი ისე წავიდა ამ ქვეყნიდან, ლექსიკონის გამოცემის სურვილი თან ჩაჰყვა სამარეში.

* * *

იოსებ იმედაშვილი ძალზე კოლორიტული ფიგურა იყო. თავზე თუშური ქუდით, მხრებზე ნაბდით, ხელში პატრიარქის ჯოხით, თეთრწვერიანი, შავნაბდიანი მოხუცი რუსთაველის პროსპექტს თავაწეული დინჯად რომ დაადგებოდა, ერთ შეხედვად ღირდა!

ჩვეულება ჰქონდა — მთელ რუსთაველის პროსპექტს ჩაივლიდა (მაშინდელი ერევნის მოედნიდან დღევანდელ პროფსაბჭოების სასახლემდე), ყველა სალამს აძლევდა, ყველა მას შეჰყურებდა.

ასეც დახატა იოსებ იმედაშვილი მიხეილ ჭიაურელმა და გამოფინა მწერალთა სასახლეში. იოსები კმაყოფილი იყო: „განა მარტო მსგავსებაშია საქმე? მივდივარ და წინ ვიხედებიო", — თქვა მან.

მართლაც, იოსების ცხოვრება სულ ასე იყო: იგი შრომით და ბრძოლით მიდიოდა ცხოვრების გზაზე და მუდამ წინ იხედებოდა!

როდიონ ქორქია

• •

ამას წინათ ჩემს არქივს ვათვალიერებდი და შემთხვევით წავაწყდი ცნობილი მხატვრის იოსებ (სოსო) გაბაშვილის მიერ შესრულებულ მხცოვანი მწერლისა და საზოგადო მოღვაწის იოსებ იმედაშვილის მეგობრულ შარჟებს. ამ ორი ჩანახატის მეორე მხარეს ჩემს მიერ წარწერილია: იოსებ იმედაშვილი. მხატვარი სოსო გაბაშვილი. მწერალთა სასახლე. 9 მარტი, 1951 წ. ჟურნალ „დილას" განხილვა.

ახლა კი, იოსებ იმედაშვილის დაბადების 100 წლისთავზე, მეოთხედი საუკუნის შემდეგ, საჭიროდ ვცანი მისი გამომზეურება.

რევაზ მარგიანი.







# ანი-მრავალშვილიანთა სოფელი



მრავალშვილიანი დედები (მარცხნიდან): მარიამ კაპანაძე, თამარ კაპანაძე და ოლღა კაპანაძე.



თამარ კაპანაძე შვილებთან.

ახალციხეს გასცდები თუ არა, მარცხნივ გზა ძალაღლაღლოვან მთებსა და [illegible]ულ ბორცვებს შორის მიიკლაკნება, თანდათან მაღლა მიიწევს. ხან ბაღებში იმალება, ხან ველზე გაიჭრება და რამდენიმე სოფლის გავლით, ზევით, ერთ პატარა სოფელში მთავრდება — ეს სოფელი ანია. ანს კაპანაძეების სოფელს ეძახიან. ოთხმოცდათორმეტი კომლია ანში და აქედან ოთხმოცი ოჯახი კაპანაძეა.

ხამი ათეული წლის წინათ ანში ხაურმე გზა და საცალფეხო ბილიკი თუ მიგიყვანდათ. წარსულის ნაშთად სოფელში აქა-იქ მოჩანს მიწურები და ბანიანი სახლები. დღეს ორსართულიანი შენობები წამოუჭიმავთ ანელებს. მოასფალტებულ გზატკეცილს მივუყევართ სოფლისაკენ. სოფლის შუაგულში, შემაღლებულზე, სადაც ადრე პატარა მიწური იდგა, დიდი შენობა აღუმართავთ. ეს ანის საშუალო სკოლაა. სკოლის გარდა ანში ბევრს ნახავთ ლამაზსა და ღირსშესანიშნავს, მაგრამ სოფელს ლაზათსა და შნოს ყველაზე მეტად ადამიანები მატებენ, გამრჯე და შრომისმოყვარე ადამიანები, მრავალშვილიანი დედები.

ვინ არ იცნობს ანში და მთელ ახალციხის რაიონში მარიამ კაპანაძეს, მის გამრჯე და შრომისმოყვარე ოჯახს; მარიამ კაპანაძემ ცხრა აკვანი დაარწია — ცხრა შვილი გაზარდა.

— რამდენი ჯაფა, რამდენი თვალი და ყური უნდა ცხრა შვილს... შვილებს მარტო[illegible] ვზრდიდი, ქმარი ფრონტზე მყავდა. იმიტომ კი არ გეუბნებით რომ ჩემი შვილებია, მაგრამ კარგი შვილები მყავს, — გვიამბობს მარიამ კაპანაძე. — ყველას ვასწავლე. ყველა გზაზე დავაყენე. ზოგი გამიფრინდა — სოფლიდან წავიდა, ზოგი ჩემთან დარჩა. ჩემი უფროსი ვაჟი — ლევანი ოცი წელია ჩემთან ერთად მუშაობს კოლმეურნეობაში. დედა ენაცვალოს, სოფელი ახაბელა, მოწინავე მწველავია და თავის ოთხ შვილსაც კარგ მამობას უწევს. ლევანს შრომა დაუფასა სოფელმა — სახოფლო საბჭოს დეპუტატად აირჩია, მთავრობამ შრომის წითელი დროშის ორდენით დააჯილდოვა.

მარიამ კაპანაძის გარდა სოფელ ანში ათი მრავალშვილიანი დედაა: ოლღა კაპანაძე (ცხრა შვილი), ვერა კაპანაძე (შვიდი შვილი) მართო კაპანაძე (ცხრა შვილი), ელენე კაპანაძე (ცხრა შვილი), თამარ კაპანაძე (რვა შვილი), ნინა კაპანაძე (შვიდი შვილი), თინა კაპანაძე (ექვსი შვილი), ელენე კაპანაძე (ცხრა შვილი), ლუბა კაპანაძე (ხუთი შვილი), პოლინა კაპანაძე ექვსი შვილი). მათგან ბევრს შვილიშვილი ჰყავს, ზოგი ჯერ წვრილშვილს ზრდის.

მარტო მარიამ კაპანაძეს როდი ჰყავს საამაყო შვილები. სოფელში პატივს სცემენ ხუტუ, ბიჭიკო, ლავრენტი, ოთარ და ზურაბ კაპანაძეებს, რომლებიც მუყაითობდნენ თავდადებულად შრომობენ კოლმეურნეობაში.

ანელების თავდადებული შრომის შედეგია ის, რომ ანის კალინინის სახელობის კოლმეურნეობამ ვადამდე ადრე შეასრულა მეცხოველეობის პროდუქტების წარმოებისა და სახელმწიფოსათვის მიყიდვის წლიური გეგმა: დღეისათვის კოლმეურნეობას 112-ის ნაცვლად 121 მხხვილფეხა რქოსანი საქონელი ჰყავს, 100-ის ნაცვლად, 161 სული ღორი, 600-ის ნაცვლად, 855 სული ცხვარი. კოლმეურნეობამ ნაცვლად 70 ტონისა, 380 ტონა თივა დაამზადა, 300 ტონის ნაცვლად — 350 ტონა სენაჟი.

ანელებმა გეგმით გათვალისწინებული 80 ცენტნერის ნაცვლად, სახელმწიფოს 120 ცენტნერი მარცვლეული ჩააბარეს.

შემოდგომის ბარაქიანი ხელი დასტყობია სოფელს. საკოლმეურნეო მინდვრებში, ბაღებსა და ფერმებში გაკრეფილა ყველა, დიდსა და პატარას სახარუნავი ერთი აქვს — დროზე შეასრულოს მთავრობისადმი მიცემული სიტყვა, ნაკისრი სოციალისტური ვალდებულებანი.

* * *

...დღესასწაულებზე სოფელი ანი ხმაურით ქალაქს ემსგავსება ხოლმე. მიდი-მოდიან მანქანები, ფართო ალვის ხეებით დაჩრდილულ გზებზე საგანგებოდ გამოწყობილი ქალები გამოეფინებიან, ზოგი სახლში ფუსფუსებს, დედები ქალაქიდან შვილებს ელიან და როცა ოჯახში ყველა თავს მოიყრის, გათენებამდე მესხურ მრავალჟამიერს მღერიან ანელები.

ნუნუ გელაძე





მარიამ კაპანაძე (9 შვილის დედა) და თამარ კაპანაძე (5 შვილის დედა) შვილებთან და შვილიშვილებთან ერთად.



ანზორ გოგოლაძის ფოტო.

ეროვნული ბიბლიოთეკა



# საბჭოთა მწერლობის მემატიანე

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიმდინარე წლის 18 ოქტომბერს გარდაიცვალა გამოჩენილი ქართველი საბჭოთა მწერალი და საზოგადო მოღვაწე, ქართული საბჭოთა კულტურის დაუღალავი მშენებელი, ლიტერატურის თვალსაჩინო კრიტიკოსი და თეორეტიკოსი, ქართული საბჭოთა მწერლობის ერთ-ერთი ფუძემდებელი, საქართველოს მწერალთა კავშირის მდივანი **ბესარიონ დავითის-ძე ჟღენტი.** ჟურნალის ეს ნომერი უკვე იბეჭდებოდა, როცა ეს დიდად სამწუხარო ამბავი შევიტყვეთ.

ეს ამბავი კარგა ხნის წინ იყო. რუსთაველის სახელობის თეატრში გალაკტიონ ტაბიძის იუბილე იყო გამართული. მთავარ მოხსენებას ბესარიონ ჟღენტი კითხულობდა. ჩემს გვერდით იჯდა ერთი კაცი, რიგითი მკითხველი, ლიტერატურით დიდად დაინტერესებული. ის რაიონიდან იყო ჩამოსული, ბესოს ნაწერებს კარგად იცნობდა, მაგრამ ტრიბუნაზე ჯერ არ ენახა და არ მოესმინა. ბესომ მოხსენება რომ დაამთავრა, იმ კაცმა გაოცებულმა მითხრა:

— იცი, რა გამიკვირდა, ციტატები ლექსებიდან ზეპირად რომ მოჰყავდა.,. რამ დაახსომა, კაცო, ამ სიგრძე ლექსები.,. ერთხელაც არ ჩაუხედავს ქაღალდში.

— რამ დაახსომა? სიყვარულმა, — ვუთხარი მე, — ბესარიონს თავდავიწყებით უყვარს ჭეშმარიტი პოეზია. კარგი ლექსი მას პირველსავე წაკითხვაზე ახსომდება...

— იშვიათი ამბავია!

— დიახ, — ვუპასუხე მე, — ბესოს ღრმა ცოდნასა და ფართო ერუდიციასთან ერთად ეგ ფენომენალური მეხსიერება ამშვენებს. განა მარტო გალაკტიონის შედევრები იცის მან, ასევე ზეპირად, ქაღალდში ჩაუხედავად, მოიყვანს ვრცელ ციტატებს საიდანაც გნებავთ — რუსთაველი იქნება ეს თუ გურამიშვილი, პუშკინი, თუ ილია, ლერმონტოვი თუ პასტერნაკი, ტიხონოვი თუ ლეონიძე... მარტო გალაკტიონის მსგავსი ბუმბერაზები კი არა, მას ტრიბუნაზე შეუძლია დაიმოწმოს სრულიად ახალგაზრდა პოეტის ლექსი, რომელიც მხოლოდ გუშინ გამოსულა სამწერლო ასპარეზზე.

აი, ასეთი მგზნებარე სიყვარულით უყვარს ბესარიონს ჭეშმარიტი შემოქმედება, და ეს ჩვენ კიდევ ერთხელ დავინახეთ მის ახალ წიგნში „მწერლობა და თანამედროვეობა“, რომელიც ახლახან გამოსცა „მერანმა“. როგორც ავტორი აღნიშნავს, ეს პირველი წიგნია იმ სერიიდან, რომელმაც თვალწინ უნდა გადაგვიშალოს ქართული საბჭოთა ლიტერატურის ზრდისა და განვითარების მთელი პროცესი, მისი წინსვლის გზები.

ეს წიგნი ნათელ წარმოდგენას გვაძლევს თვითონ ავტორის სტილზე, მისი წერის მანერაზე, მისი მუშაობის ხასიათზე. ნახევარ საუკუნეზე მეტია, რაც ბესარიონ ჟღენტი დაუღალავად იღწვის ქართული საბჭოთა ლიტერატურის დიდ სარბიელზე. ის როდია მარტო მემატიანე ჩვენი მწერლობისა, არამედ დასაწყისიდანვე, მიმდინარე საუკუნის ოციან წლებიდანვე, ბესარიონ ჟღენტი თვით დგას საბჭოთა ლიტერატურის პირველ ფუძემდებელთა და მშენებელთა მოწინავე რიგებში, და როგორც გამოჩენილი საბჭოთა კრიტიკოსი, დაუცხრომელი საზოგადო მოღვაწე და ლიტერატურული ახალგაზრდობის გულისხმიერი აღმზრდელი, იბრძვის და შრომობს საბჭოთა კულტურის წინსვლისა და აყვავებისათვის.

ფრიად საინტერესო და მდიდარი შინაარსით აღსავსეა გზა, რომელიც ბესარიონ ჟღენტმა გაიარა. ჯერ მარტო ის მძაფრი დისკუსიები გაიხსენეთ, რომლებიც ამ ხუთი ათეული წლის მანძილზე ახსოვს მწერალთა სასახლეს თუ რუსთაველის თეატრის საკონცერტო დარბაზს — ბესო ჟღენტი მუდამ იდეური ბრძოლის, აზრთა შეხლა-შემოხლის შუაგულში იყო და მუდამ თამამად, შეუპოვრად იბრძოდა სოციალისტური ესთეტიკის თეორიული პრინციპების, სოციალისტური რეალიზმის ფუძემდებლური დებულებების დასაცავად, მუდამ ცდილობდა განემტკიცებინა ის აზრი, რომ კომუნისტური იდეურობისა და მაღალი მხატვრულობის, ხალხურობისა და სამშობლოს მგზნებარე სიყვარულის, კეთილშობილური ჰუმანიზმისა და კაცთმოყვარეობის გარეშე ნამდვილი მწერლობა შეუძლებელია არსებობდეს. შეურიგებლობა ყოველივე იმისადმი, რაც უცხოა ჩვენი ლიტერატურისა და ხელოვნებისათვის, მგზნებარე სწრაფვა სოციალისტური ხელოვნების ჭეშმარიტი სილამაზისადმი, რომელიც ეხმარება კომუნიზმის მშენებლობას — ასეთია დედააზრი მთელი მისი მოღვაწეობისა. ის ერთ-ერთი თვალსაჩინო თეორეტიკოსია სოციალისტური რეალიზმისა, აღიარებული არა მარტო ჩვენს რესპუბლიკაში, არამედ მთელ საბჭოთა კავშირში.

წიგნის პირველ ნაწილში წარმოდგენილია ბესარიონ ჟღენტის ორი საყურადღებო ნაშრომი; პირველია — „ოქტომბერი და ქართული მწერლობა“, მეორე — „ვ. ი. ლენინის იდეური მემკვიდრეობა და ქართული ლიტერატურის განვითარების თანამედროვე პრობლემები“. ეს ნაშრომები განაგრძობენ იმ მებრძოლი, მოწინავე, მაღალი მოქალაქეობრივი იდეებით გამსჭვალული კრიტიკის ტრადიციას, რომელიც მუდამ წარმართავდა, ხალხთან განუყრელად აკავშირებდა, ამდიდრებდა ჩვენს ლიტერატურას.

წიგნის ბოლოსიტყვაობაში ავტორი ამბობს: „იშვიათია ისეთი ქართველი საბჭოთა მწერალი, რომლის შესახებ მე არაფერი დამეწეროს ჩემი ლიტერატურულ-კრიტიკული მუშაობის ნახევარი საუკუნის მანძილზე“; და მართლაც, ვერ დაასახელებთ ვერც ერთ ღირსშესანიშნავ მოვლენას ჩვენს ლიტერატურულ ცხოვრებაში, რომელსაც ბესარიონ ჟღენტი არ გამოხმაურებოდეს. და ეს მარტო გამოხმაურება როდი იყო, ეს იყო ძმური ხელის გაწვდენა და დახმარება მწერლისადმი, მძლავრი სტიმული მისი წინსვლისათვის, აქტიური ზემოქმედება იყო ლიტერატურული პროცესის მიმართ. ამგვარი წერილების რიცხვს განეკუთვნებიან სარეცენზიო წიგნში წარმოდგენილი ნაშრომები: „თაობათა ერთობლივი ძალღონით“, „ჩვენი დღეების მატიანე“, „თანამედროვეობის მოთხოვნათა დონეზე“, „მხატვრული თხრობის დიდებული ოსტატი (მიხეილ ჯავახიშვილის შემოქმედებითი მემკვიდრეობა)“, „მაღალი რწმენის პოეზია“, „პოეზია ხუთწლედის მხარდამხარ“. აქვეა მკაფიო პუბლიცისტური პათოსით შესრულებული ლიტერატურული პორტრეტები, რომლებშიც დახასიათებული არიან ქართული სიტყვის ცნობილი ოსტატები, აღნიშნულია მათი სამწერლო სტილის თავისებურება და ის ახალი, რაც მათ ქართული საბჭოთა ლიტერატურის ისტორიას მიუმატეს. ამ პირველ წიგნში განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევენ კონსტანტინე გამსახურდიას, დემნა შენგელაიას, გალაკტიონ ტაბიძის, გიორგი ლეონიძის, პაოლო იაშვილის, ილო მოსაშვილის, ალექსანდრე გომიაშვილისა და სხვათა ლიტერატურული პორტრეტები და დახასიათებანი.

ბესო ჟღენტის წიგნი „მწერლობა და თანამედროვეობა“ მთავრდება ვრცელი ნაშრომით — „ცხოვრება, თეატრი, დრამატურგია“. აქ მიმოხილულია ქართული დრამატურგიის ნახევარსაუკუნოვანი გზა.

საერთოდ, აღსანიშნავია ის ღვაწლი და ამაგი, რომელიც მიუძღვის ბესო ჟღენტს ქართული თეატრისა და დრამატურგის წინაშე. დიდი შრომა გასწია ბ. ჟღენტმა იმისათვის, რომ ქართული სცენის ოსტატების სახელები ფართოდ მოსდებოდა მთელ საბჭოთა კავშირსა და მსოფლიოს, უფრო ხმამაღლა აჟღერებულიყო ქართველი პოეტის ხმა, მკითხველთა უფრო ფართო, მრავალმილიონიანი აუდიტორია დაეპყრო და მოეხიბლა ქართულ რომანსა და მოთხრობას.

ბესარიონ ჟღენტის სახით ქართულმა საბჭოთა კულტურამ დაჰკარგა თავისი მგზნებარე პატრიოტი და მშენებელი, დაუცხრომელი, მუდამ მოუღლელი, ჭკვიანი პროპაგანდისტი და მზრუნველი ადამიანი.

გიორგი ნატროშვილი

გელა შალვაშვილი

## სიმღერის დაბადება

შენს სავალ გზაზე ვიყურები ყოველდღე ხარბად,
ფერად ხალიჩებს ვაფენ ხოლმე ამ გზაზე კდემით...
და იბადება მარტოსულის სიმღერა ჩემი, —
ვერ დაჰბადებდა ამ ჰანგს ვერვინ, ლოდინის გარდა.

სულ ერთი წამით... მერე ისევ გადავწევ ფარდას,
ხანდახან კიდეც მეჩვენება ნაბიჯი მჩატე...
ჩვენება ესე სასიცოცხლო ძალასა მმატებს
ძალასა მმატებს, მაგრამ მგონი, მოთმენას ვკარგავ.

ვღიღინებ ჩემთვის... და ამ წუთში ურყევად მჯერა,
მარტოობაში იბადება სიმღერა ყველა...
ისევე, როგორც უმაღლესი მშვენება ველად.

უნდა იხილო, რომ მშვენებით დაიცხრო მზერა,
ხმიანობს ჰანგი, დარდი ჩემი ედება ყურეს,
ხვალ ეს სიმღერა სათითაოდ დაივლის გულებს.

## წვიმის თავგამეტება

ჩამოდის წვიმა, ცის და მიწის შუამავალი,
ასე გულღია, ასე ლბილი და წყალმრავალი.

მაღალი ზეცის დანაბარებს რაკრაკით ეტყვის
ვრცელ დედამიწას და... არცარა სწადია მეტი.

ვეება სივრცეს შესდგომია წვიმა სვეტებად...
ამოხმიანი იგი სხვაგვარ მეიმედება...

ჩამოდის წვიმა, თან ჩამოაქვს ცათა საუფლო,
დედამიწასთან ზეცა წვიმის ენით საუბრობს...

ზეცით ჩამოდის, ენარცხება დაბლა, მიწაზე,
მოდი და ახლა თავგანწირვას ნუღარ იწამებ!

●

ჰე, ჰე, ჰეი! ეს ხომ ენგურის ხეობაა,
გულის ზეობა და სულის მხნეობა!
მაღალ-მაღალი კოშკები, მეტყველ-მდუმარი,
და... ყველაფერზე საუცხოო მაინც... ცხუმარი!
ენგურის პირას დაუცია კარავი ცხუმარს,
და რასაც იგრძნობ აქ სტუმარი შემოსვლის უმალ,
არის შეკრთომა საკუთარი სიპატარავით...
და სულ ახლავე, შენაც აქვე გინდა კარავი.
თვალთაგან ნელა, თანდისთანად ქრება ცხუმარი...
მივალ, ვშორდები... მაგრამ მამცნობს ჩემივ გუმანი —
მთიან-სვიანნო, მალე მოვალ თქვენთან, სვანებო,
და ეს ენგური, ვინძლო, მაშინ მე დამანებოთ!

კოტე მელაშვილი

## მაშინ მჭირდება

როცა სიბერით დაბრმავებულს
გამიჭირდება
ჩანაფიქრალის აცხადება,
საქმის მიგნება,
მაშინ მჭირდება,
უფრო მეტად მაშინ მჭირდება,
ლექსები ყდებში შეხიზნული
მწვანე წიგნებად.
დასალიერზე შუკა
მუდამ უფრო ქუფრია
და იქეთკენაც
ვეღარ შევძლო იქნებ გახედვა,
სასთუმალს მწუხრი ჩამოაწვეს
შავი კუპრივით,
სულთამხუთავი,
დამამხობი ნათელ სახეთა.
მაშინ, ეგების,
ჩაღვენთილი სანთლის კიაფზე,
როცა ობობა სულში
ქსელის ერთ რიგს მიაქსოვს,
თქვას იმ წიგნებმა:
შენს დღეს წუთი წუთზე მიაფრენს,
მაგრამ ის, ლექსი რაც ჩატიე,
დროს ვერ მიაქვსო.
თქვას იმ წიგნებმა,
რომ მეც ქვეყნად სტუმრად მოველ და
სხვაზე ნაკლებად არ მიცვნია,
იგი რაც არი,
ამქვეყნიური სიყვარული მეც მათრთოლებდა,
მეც ავუშენე ერთი ტაძარი.

●

ერთხელ შემომხედე თანაგრძნობით,
ერთხელ თბილი სიტყვა მიწილადე,
ერთხელ ბედ-იღბალთან გამაბრძოლე,
ცრემლად ამოხეთქილ სიცილამდე.

მერე რამაც შეგვძრა, დაგვალხინა,
ან რაც გულში ჩაგვრჩა მწარე ხინჯად,
როგორც საჭაშნიკოდ დამდგარ ღვინოს,
სულში ვიწურავდით გასასინჯად.

თურმე დიდი ცეცხლი დაგვინთია
და არ გვემეტება ჩასაქრობად,
ალბათ, ამას ჰქვია
მეგობრობა.

## შემოღამება ისანთან

ისანს ფეხით შემოვივლი,
დიდუბეში ჩავალ გვიან.
დაავიწყდათ ჭადრებს ძილი,
ჩიტები თავს დამღერიან.

ლამპიონთა საკრებულო
მტკვარმა ძეწკვად შეიერთა,
მართლად შეხმატკბილებულა
მადლი — მადლთან,
ფერი — ფერთან.

სარკმლებიდან ანარეკლი,
სპივებს აფრქვევს ათასი მზე,
ქუჩა ქუჩას, გზა გზას ეკვრის,
სიო მღერის ათას სიმზე.

სხეულს ელერა ათას გამის
სიხარულის ჟრჟოლად უვლის,
რომ არა აქვს დასაბამი,
არც ექნება დასასრული.

## შ ვ ი ლ ე ბ ი

თუ ჩემს ცხოვრებას რამე აზრი აქვს,
ეს ქალაქია
ჩემი ნაგები,
შვილები,
დღეს რომ მხრებზე მაზიან,
მისი მერმისის მოქალაქენი.

თუკი დამრჩება რამე სახელად,
ეს ჩემი ხელით რგული ვაზია
და მომავალი მევენახენი —
შვილები,
დღეს რომ მხრებზე მაზიან.

თუ ყოფას ჩემსას რამე ფასი აქვს, —
ჩემი ლექსია
ღამენათევი,
შვილები,
დღეს რომ მხრებზე მაზიან,
მისი მკითხველნი,
მისი მნათენი.

და მე ვიტყოდი:
ჩემთვის შვილები
ყოფის აზრი და სილამაზეა.
გზას მინათებენ,
მიადვილებენ,
როცა ნებივრად მხრებზე მაზიან.

მარიკა ჩხარტიშვილი

## ჩემი ვედრება

ფერთა და ბგერათა უხვო მწყალობელო,
მაქციე, ო ჩიტად მგალობელად,
მასწავლე სიმღერა ფესვთა და ღეროთა,
ისეთი სიმღერა, ვაჟა რომ მღეროდა,
ისეთი სიმღერა ყვავილთა, ბალახთა,
რომ სული ნიავივით ანცობდეს, გალაღდეს.
სიმღერა მასწავლე უხილავ მნათობთა,
შორეულ მოტივთა სურნელი მათრობდეს...
ფერთა და ბგერათა უხვო მწყალობელო,
ერთს გვედრი მარტოდენ:
მაქციე, ო, ჩიტად, მგალობლად!

## ავტობუსიდან მოჩანს სოფელი ნაწვიმარი

შორს თივის ზვინები ჩანან
და სახურავები სველი.
ჩამქრალა მზიანი ყანა,
ჩათავებულა რთველი...

ცეცხლოვან ყივილებს მამლის
შეჭირხლავს ზამთარი ჩქარა,
ცისფერი გახდება კვამლი,
ატალახებული შარა

და რძისფერს გადიკრავს ზეწარს
ეს ლაჟვარდოვანი ზეცა...

ყვითელი, წითელი, მწვანე
ფოთლები ხმელი და სველი,
ჩამქრალა მზიანი ყანა,
ჩათავებულა რთველი...

●

ფანჯარაში იხედება დილა,
როგორც სოფლის ჭორიკანა გოგო...
აღარ შემრჩა დარდის ერთი ფთილაც,
მწუხარებას შევძლებ ან კი როგორ?
გაზაფხული სულში შემოჭრილა,
იმედებიც გაიშლიან კოკორს...

●

... კვლავ გული მიწუხს: რად ჩანხარ შორად.
შენზე ვდარდობდი დღესაც, წუხელიც.
ჩემს უდაბნოში მოხვედი თქორად,
მაგრამ ჩემს გვალვას ვერ გაუძელი.



ეროვნული ბიბლიოთეკა



— ძალიან დიდი, „დინამოში“ მოსვლის შემდეგ არაერთ მწვრთნელთან მომიხდა ურთიერთობა. თამამად შემიძლია ვთქვა, რომ თანამედროვე ფეხბურთში, ასეთი ინტენსიური დატვირთვის დროს, მწვრთნელი ფეხბურთელის მეგობარი უნდა იყოს. ურთიერთგაგება, ობიექტურობა, საქმისადმი დიდი სიყვარული, ამის გარეშე სასიკეთოს ვერაფერს მიაღწევ.

— ახლა იშვიათად როდი გაიგონებთ, არ არსებობს „ქართული ფეხბურთი“. რასაკვირველია, თავისთავად ცნება „ფეხბურთი“ არ შეიძლება ვინმეს კუთვნილება იყოს, ისევე როგორც ცეკვა. მთავარია აქ თვით საკითხის არსის სწორად გაგებაა. საქართველოში ოდითგანვე თამაშობდნენ ბურთით. მამაცობის, სიჩაუქისა და მოხერხებულობის საზომადაც მიიჩნევდნენ მას. ამიტომაც იყო, რომ ახალმა ინგლისურმა თამაშმა ასე სწრაფად და რაც მთავარია, საფუძვლიანად მოიკიდა ჩვენში ფეხი. არც ვცდილვართ რაიმე ცვლილება შეგვეტანა მის წესებში. მაგრამ განა შეიძლება მისადმი ინგლისური დამოკიდებულება დარჩენილიყო?!

# ფეხბურთი-ჩემი სიყვარული!..

ოთარ გაგუა

როგორც სამხატვრო გალერეაში ნაცნობ სურათთან შეხვედრისას, რაღაც ახალს, მანამდე შეუმჩნეველ დეტალს აღმოაჩენ. ასევეა ჭეშმარიტი საფეხბურთო სპექტაკლის დროს. მისი მომქმედი პირები ყოველთვის ახლებურად წარმოგვიდგებიან. რასაკვირველია, მსგავსი აღქმისა თუ გარდასახვის უნარი მხოლოდ დიდებული მხატვრული ტილოს თუ ნიჭიერთა ხვედრია... სწორედ ასეთთა რიცხვს ეკუთვნის თბილისის „დინამოს“ თავდამსხმელი დავით ყიფიანი.

ნიჭიერ კაცზე წერა სახალისოც გახლავთ და რთულიც. მითუმეტეს დღეს, როცა სპორტი ასე გაახალგაზრდავდა. იმას, რასაც ადრე წლები სჭირდებოდა, ახლა ძალზე ადრე აღწევენ სპორტსმენები. არც თუ დიდი ხნის წინათ, ვინმესთვის რომ გეთქვათ მსოფლიოსა და ოლიმპიურ ასპარეზობათა ჩემპიონი ცამეტი წლის კომანეჩი გახდებაო, დაგიჯერებდნენ კი არა, გიჟად შეგრაცხდნენ. დღეს კი ამით ვერავის გააკვირვებ!

იკითხავთ, მაშ რაღაშია ხიძნელე?! — თვით მოსათხრობი ამბის გადმოცემაში. რა უნდა თქვა ახალბედაზე, როგორ უნდა წარუდგინო იგი მკითხველს? იგი რომ რეკორდსმენი და ჩემპიონია, ეს ყველამ იცის. ისიც კარგად ახსოვთ, თუ როგორ მიაღწია დიდების მწვერვალს. ეს ყველაფერი ხომ გუშინ, ჩვენ თვალწინ მოხდა. საჭიროა უფრო ღრმად ჩასწვდე საქმის არსს, დაინახო და წამოსწიო ის, რაც საერთო თვალხედვის გარეთ არის.

ამ პრობლემის წინაშე აღმოვჩნდი ახლა, როცა გადავწყვიტე დავით ყიფიანზე მომეთხრო მკითხველისათვის. დავითის ბავშვობამ ჩემს თვალწინ გაირბინა. ბუნებრივია, მახსოვს მისი პირველი ნაბიჯები ფეხბურთში. შემიძლია მისი სპორტული ბიოგრაფიის ყოველი დეტალის გახსენება, მაგრამ რა სამსახურს გავუწევ ამით მკითხველს?! ყველაფერი ეს ხომ მათ კარგად იციან... სწორედ ამან მაფიქრებინა, გადამეხვია გატკეპნილი გზიდან და გამეხსნა სპორტსმენის შინაგანი სამყარო, გადმომეცა თუ რას ფიქრობს იგი, რამ მოიყვანა დიდ ფეხბურთში, როგორ ესახება მისი ხვალინდელი დღე...

დავითს „დინამოს“ დიღმის ბაზაში უელსის „კარდიფ-სიტისთან“ მატჩის წინა დღეს შევხვდი. ბუნებრივია, ჩვენი საუბარი ამ მეტად პრინციპული პაექრობით დაიწყო. მე პირდაპირ ულტიმატუმით მივმართე: რა ანგარიშით დაამარცხებთ მეტოქეს-მეთქი. დავითს გაეღიმა, შევატყვე, ესიამოვნა ჩემი მოთხოვნა, მაგრამ ცდუნებას არ აჰყოლია. საკმაოდ მოკრძალებულად გამოხატა თავისი დამოკიდებულება მოსალოდნელი ორთაბრძოლისადმი. მართალია მოწინააღმდეგე ვერ დაიტრაბახებს მაღალი საშემსრულებლო კლასით, მაგრამ მატჩის მოგება, ალბათ, გაგვიჭირდება. ჩვენ ხომ პირველ რიგში იმ ბურთის გატანაზე უნდა ვიზრუნოთ, უელსიდან ვალად რომ ჩამოგვყვაო...

— თუ გაზეთებს დავუჯერებთ, წინა შეხვედრა არ უნდა წაგეგოთ? — ვეკითხები მას.

— მაგრამ წავაგეთ. ასე რომ, იოლ ცხოვრებაზე ფიქრი ნაადრევია. მატჩში გამარჯვება მას რჩება, ვინც მეტ ნებისყოფასა და სულიერ სიმტკიცეს გამოავლენს!

— რადგან საუბარმა ასეთი ხასიათი მიიღო, მითხარით, სპორტსმენის რომელ თვისებას ანიჭებთ უპირატესობას და რატომ?

— რასაკვირველია, ნებისყოფას! ეს მეტად ფართო ცნებაა და თუ სპორტსმენს აკლია იგი, მისგან სასიკეთოს ნურაფერს მოელით. განა იშვიათია, როცა დიდი ტალანტი გაფურჩქვნის პერიოდშივე იფერფლება! იმიტომ რომ შესაბამისი ნებისყოფა არ გააჩნია. ყოველ ფეხბურთელს აქვს საკუთარი, თანდაყოლილი თვისება, რომელსაც სრულყოფა და დახვეწა სჭირდება. ხშირად გაიგონებთ, ნიჭიერი ფეხბურთელი იყო, სმა რომ არ უყვარებოდაო, ან თავისთავზე მეტი რომ ემუშავნა, პირველი ვარსკვლავი იქნებოდაო. ფეხბურთელობა ეს კომპლექსია და არა რაიმე ცალკეული ღირსება; ერთ-ერთი მათგანი თუ გაკლია, ფეხბურთელი არა ხარ!

— რა როლი აკისრია ამ თვისებების გამომუშავებაში მწვრთნელს?

—მესმის რისი თქმაც გსურთ, ვიზიარებ კიდეც ამ მოსაზრებას. ჩემთვის ხშირად უკითხავთ „დინამოს“ რომელ საფეხბურთო სკოლას მიაკუთვნებო; პასუხი ყოველთვის ერთია: მხოლოდ და მხოლოდ ქართულს! რაც შეეხება, თუ ვის ჩამოვგავართ თამაშის მანერით, უთუოდ ესპანელებს, არგენტინელებს. სადაურობის საკითხს შემსრულებლები განაპირობებენ. რატომ დაკარგა თავისი ბრწყინვალება ასე სწრაფად ჰოლანდიურმა ფეხბურთმა? იმიტომ, რომ მას სწორედ ის თვითმყობადობა აკლდა, რასაც „ჰოლანდიური“ ჰქვია. ღმერთმა ნუ ქნას, იგივე მდგომარეობაში აღმოვჩნდეთ.

დღევანდელი ფეხბურთელები ბორის პაიჭაძის, გაიოზ ჯეჯელავას, ავთანდილ ღოღობერიძის, მიხეილ მესხის, სლავა მეტრეველისა და სხვათა ტრადიციებზე ვიზრდებოდით, ვცდილობდით და ვცდილობთ ვითამაშოთ ისე, როგორც ისინი თამაშობდნენ. და თუ ზოგჯერ გამოგვდის კიდეც, იმიტომ, რომ ყველაფერი ეს ჩვენშივეა და მას მხოლოდ გაღვივება და გაღრმავება სჭირდება. აბა, წარმოიდგინეთ, რას ვემგვანებოდით ჩარლტონობა ან ბეკენბაუერობა რომ გვეცადა.

— იქ, სადაც თვითმყობადობაა, არ შეიძლება მიმბაძველობას ჰქონდეს ადგილი, არა?!

— ამიტომ არის, რომ მომავლის ფეხბურთი კვლავ ცალკეულ ვარსკვლავებად მესახება. რასაკვირველია, საგრძნობლად გაიზრდება სპორტსმენის ფიზიკური კონდენციები, მაგრამ შესატყვისი ტექნიკა თუ არ იქნა, სანახაობა თავის სახეს დაკარგავს!

— ზოგ ფეხბურთელზე ამბობენ უნივერსალია, ყველგან შეუძლია თამაშიო.

— ეს მაშინ, როცა მწვრთნელს უკეთესი არჩევანის საშუალება არა აქვს. შესაძლოა, ყველგან ითამაშო, მაგრამ ჩვენ თვითონ ხომ გვაქვს საყვარელი ადგილი, სადაც გუნდისათვის მეტი სარგებლობის მოტანა შეგვიძლია. განა სწორი იყო, სამი წლის განმავლობაში მარცხენა გარემარბად რომ მათამაშებდნენ? ყოველთვის მიმაჩნდა, რომ ჩემი ადგილი მესამე ცენტრალური თავდამსხმელი იყო.

— თქვენ ხომ დროის გარკვეულ მონაკვეთს ახლაც მოედნის სიღრმეში ატარებთ?

— მაშინ ვგრძნობ თავს იმედიანად, როცა ბურთთან ვარ; მისი მიღება წინა ხაზზე კი გაცილებით ძნელია, ამიტომ როცა უკანა ეშელონიდან ვიწყებ შეტევას, მოწინააღმდეგეს მეტ თავსატეხს ვუჩენ... ჰოლანდია-ბრაზილიის მატჩის შემდეგ ზაგალოს ჰკითხეს: კრუიფს პერსონალური მცველი რატომ არ მიუჩინეთო. მან უპასუხა: მისი მოქმედების დიაპაზონი იმდენად ვრცელია, ამას აზრი ეკარგებაო. და მართლაც, წარმოიდგინეთ რამდენად მძიმე ფსიქოლოგიური დატვირთვაა. მთელ მოედანზე მოწინააღმდეგეს სდიო!

— არკადი ანდრეასიანი, როცა მას პერსონალურს ეთამაშებიან, წინ მიდის და ცენტრს აორებს.

— გამართლება აქვს; მაგრამ მე ასე არ შემიძლია, მე კომბინაციური თამაშის სტილის მომხრე ვარ. რა აზრი აქვს ტრაფარეტს, რომელსაც შენზე ადრე ტრიბუნები ამოიცნობენ. ურთულეს პირობებშიც კი საჭიროა სიახლე, ისეთი ორიგინალური სვლის გამონახვა, რომ მცველიც კი ვერ მიგიხვდეს, არათუ მაყურებელი.

— ახლა ფეხბურთს აღიქვამენ, როგორც ხელოვნების ერთ-ერთ დარგს?

— განა სწორი არ არის?! ფეხბურთი ბუნებით მომადლებული ნიჭია, შთაგონებაა, მეტად მძიმე, მართლაც, რომ ტიტანური შრომაა. ვარჯიში ქარსა თუ წვიმაში, ტრავმები, მოგზაურობა, ცოლ-შვილთან დაშორების სინანული, უძილო ღამეები, წაგებული მატჩის მღელვარება და განცდები. ეს მხოლოდ მათი ხვედრია, ვინც უზომოდაა ამ საქმეზე შეყვარებული. არ მიყვარს მო-

(გაგრძელება იხ. მე-18 გვ.)



თბილისის „დინამოს“ კაპიტანი ვახტანგ ქელიძე.

თარხან არჩვაძის ფოტო




ოლიმპიური ჩემპიონი ლევან თედიაშვილი.

ალექსანდრე მალიშევის ფოტო



სსრ კავშირის თასის ფინალურ მატჩში ერევნის „არარატის“ კარში სამი გოლი გაიტანეს თბილისის „დინამოელებმა“. აი ისინიც. გოლების ავტორები: რევაზ ჩელებაძე, დავით ყიფიანი და ფირუზ კანთელაძე.

ბონდო დადვაძის ფოტო



ქოროღოს ეკლესია, X ს. დასავლეთ კარნიზის რელიეფი — ქვის გადატანა მარხილში შებმული ხარებით.



ფრაგმენტი.



აშოტ კუხის გამოსახულება ტბეთიდან (X ს. პირველი მეოთხედი).

ქოროღოს ეკლესია, X ს. დასავლეთ კარნიზის რელიეფი — ტვირთის გადატანა.



ოპიზის რელიეფი აშოტ კურაპალატის გამოსახულებით. IX ს. დეტალი.



ქოროღოს ეკლესია, X ს. დასავლეთ კარნიზის რელიეფი — სამშენებლო ხსნარის მომზადება.



## ხელოვნებათმცოდნის საუბარი

# საერო თემა ძველ ქართულ სკულპტურაში

შუა საუკუნეების ქართულ სკულპტურაში რელიგიური შინაარსის სიუჟეტის გვერდით ყურადღებას იქცევს ისტორიულ პირთა გამოსახულებანი, ისინი წარმოგვიდგენენ საერო ელემენტს, რომლის საშუალებით ქრისტიანულ ხელოვნებაში გარკვეულ ასახვას პოულობდა რეალური სინამდვილე.

უკვე ადრინდელი ხანიდან (V—VI სს.) ისტორიულ პირებს გამოხატავდნენ საკულტო ხასიათის ქრისტიანულ ძეგლებზე — ქვის სტელებზე, ანუ ქვაჯვარებზე, რომლებსაც ღია ცის ქვეშ აღმართავდნენ. სტელა წარმოადგენდა კვარცხლბეკზე დადგმულ ოთხწახნაგოვან სვეტს, რომელსაც ჯვარი აგვირგვინებდა. სტელას ზედაპირზე ქრისტიანული ლეგენდების სცენებისა და წმინდანთა ფიგურების გვერდით გამოკვეთილია რეალურ პიროვნებათა გამოსახულებანიც. საყურადღებოა, რომ საერო პირთა „პორტრეტულ“ გამოსახულებებს მნიშვნელოვან ადგილს უთმობდნენ ქრისტიანული ტაძრების ფასადებზეც. აქ, ჩვეულებრივ, გამოსახულნი არიან ფეოდალები, მმართველი საგვარეულოს წევრები, მათ შორის კტიტორები, რომელთა ინიციატივითა და სახსრებით იყო აგებული ეკლესია.

ადრეფეოდალური ხანის ქართული ხუროთმოძღვრების ძეგლის მცხეთის ჯვრის გუმბათიანი ტაძრის (586—604 წწ.) ფასადებზე გამოსახულია ქართლის მმართველები და ერისმთავრები. ძირითადი კომპოზიცია, რომელიც სამ რელიეფს აერთიანებს, ტაძრის მთავარ (აღმოსავლეთ) ფასადზეა მოთავსებული. ცენტრალურ რელიეფზე ერისმთავარი სტეფანოზი მუხლმოდრეკილია ქრისტეს წინაშე, ხოლო გვერდით რელიეფებზე გამოსახულია ამავე საგვარეულოს წევრები ადრნერს და დემეტრე.

საქართველოში ისტორიულ პირთა გამოსახვის ტრადიციამ განსაკუთრებით ფართო გავრცელება X ს-ში ჰპოვა. დოლისყანაში (X ს) ეკლესიის მაშენებლის სუმბატ მეფის ფიგურა მაღლა, გუმბათის ყელზეა გამოქანდაკებული. კუმურდოს 964 წელს აგებულ ტაძარში დედოფალ გურანდუხტისა და მისი ძმის აფხაზთა მეფის ლეონის გამოსახულებანი ასევე მაღლა არიან მოთავსებული (შენობის ინტერიერში, გუმბათქვეშა ტრომპებში). ამრიგად, საერო პირის გამოსახულება ადგილს იკავებს საკულტო ნაგებობის უმაღლეს, ე. წ. ციურ ზონაში, რომელიც ჩვეულებრივ, ღვთიურ პერსონაჟთათვისაა განკუთვნილი.

კტიტორთა გამოსახულებათა მიხედვით შეიძლება თვალი ვადევნოთ ქართული სკულპტურის განვითარების ძირითად ეტაპებს.

ოპიზის რელიეფი აშოტ კურაპალატის გამოსახულებით (IX ს-ის პირველი მეოთხედი) სიბრტყობრივი გადაწყვეტით ხასიათდება; ფიგურის სხვადასხვა ნაწილის ერთ სიბრტყეში გაშლას შედეგია მისი პოზისა და დაყენების პირობითობა (ფრონტალურად ნაჩვენები სხეული და პროფილში გამოსახული ფეხები). ფიგურის დისპროპორცია, თავისა და ხელების გადიდება გამომხატველობის ძირითადი საშუალებაა, კერძოდ, ხელის მტევნის გადიდება ჟესტის ექსპრესიული ხაზგასმაა.

აშოტ კუხის ფიგურაში ტბეთიდან (X ს-ის პირველი მეოთხედი) ნათლად იგრძნობა ოსტატის მიერ გამოსახულების მოცულობითობის ძიება, რასაც ქართულ ქანდაკებაში მეათე საუკუნეში ჰქონდა ადგილი. ფონიდან მძლავრად ამოზიდული, ძალზე მომრგვალებული ფიგურა კედელთან მიდგმული სვეტის შთაბეჭდილებას ტოვებს. მის მასიურობას ხაზს უსვამს მძიმე პროპორციები და პოზის სტატიკურობა.

განვითარების შემდგომი საფეხური გამოვლენილია ოშკის ტაძრის კტიტორულ კომპოზიციაში (X ს-ის მეორე ნახევარი) ბაგრატ ერისთავთ-ერისთავისა და დავით მაგისტროსის გამოსახულებით. მწყობრი, მოხდენილი ფიგურები პროპორციულია, დაძლეულია ფიგურის დაყენების პირობითობა, თავისუფლადაა გამოხატული მათი პოზა, რადგან ფეხების პროფილში დაყენებისას სხეული და თავი სამმეოთხედ მობრუნებაშია ნაჩვენები. ფიგურის ცალკეული ნაწილის მოცულობით გადმოცემაში თავს იჩენს სკულპტურულობის განვითარებული გრძნობა. მაშინ, როდესაც ოპიზის რელიეფში ტანსაცმლის ზედაპირი განყენებული ხაზებით პირობითად იყო დამუშავებული, ოშკის გამოსახულებაში სამოსის რეალური სახეა მოცემული. კტიტორებს აცვიათ მდიდრული სამეფო სამოსი, რომელზედაც აღნიშნულია ქსოვილის ნახატის სახეები და მდიდრული სამკაული — ძვირფასი ქვები. ოშკის რელიეფი ქართულ სკულპტურის დიდი მიღწევის მაჩვენებელია.

რელიეფებზე ჩვეულებრივ გამოხატავდნენ ფეოდალებს. დაბალი წრის წარმომადგენლის, ოსტატის გამოსახვა იშვიათია (არქიტექტორის ფიგურა მცხეთის ჯვრის ტაძრის გუმბათის ყელზე, ოსტატ გრიგოლ ოშკელის ფიგურა ოშკის ტაძრის სამხრეთ გალერეის სვეტზე).

სკულპტურის თემატიკის მხრივ განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს ქოროღოს ეკლესია (მთიულეთი). რელიეფები, რომლებიც დარბაზული ეკლესიის დასავლეთ ფასადის კარნიზს მიყვებიან, თანმიმდევრულად ასახავენ ეკლესიის მშენებლობის სხვადასხვა ეტაპს (ქვის ფილების გადატანა მარხილით, ზურგით, მშენებლობისათვის ხსნარის მომზადება, ქვის თლა და ა. შ.). ციკლი დასრულებულია კტიტორის გამოსახულებით ეკლესიის მოდელით ხელში.

ქოროღოს რელიეფებში ფიგურათა პირობითობის მიუხედავად, მოქმედება მეტად მეტყველი და ექსპრესიულია. ქვის გადატანისა და დამუშავების სცენებში ფიზიკური დაძაბულობა იგრძნობა. ადამიანები, რომელთაც ტვირთი მიაქვთ, თითქოს მოხრილან სიმძიმისაგან. ქვისმთლელთა ფიგურებში გადმოცემულია მუშაობის რიტმი და დაძაბულობა; ხშირად ფიგურები კარნიზის ქვედა ხაზის მიმართ დახრილადაა დაყენებული. ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, თითქოს ისინი აღმართს მიჰყვებიან. ამრიგად, შრომის პროცესის ამსახველ სცენებში, სადაც ოსტატი არ იყო რაიმე ნიმუშით შეზღუდული, გარკვეული გამოხატულება ჰპოვა ცხოვრების მოვლენებზე დაკვირვებამ, მაშინ როდესაც აქვე, კარნიზის წვერში ღვთისმშობლის გამოსახულებაში მან ტრადიციული ტიპი გაიმეორა.

ქოროღოს ეკლესიის რელიეფური ციკლის აზრობრივი მნიშვნელობა შუა საუკუნეების ქართულ სკულპტურაში გავრცელებულ კომპოზიციათა შინაარსის იდენტურია: რელიგიური პერსონაჟი (ღვთისმშობელი) აკურთხებს ეკლესიის მშენებლობას რაც განსახიერებულია ეკლესიის მოდელით კტიტორის ხელში. მაგრამ ქოროღოში ამ შინაარსის ფარგლები გაფართოებულია თვით მშენებლობის პროცესის გამოსახვით და, ამრიგად, დაბალი სოციალური წოდების წარმომადგენლები — მშრომელი ხალხი იკავებს ადგილს ეკლესიის კედლებზე ფეოდალების (კტიტორების) გვერდით. მოქანდაკე არ დაკმაყოფილებულა კანონიკური რელიგიური სიუჟეტით და რეალური, კონკრეტული ამბავი გამოუსახავს. სწორედ ამაშია ქოროღოს სკულპტურის განსაკუთრებული მნიშვნელობა, რადგან მისი შინაარსი სცილდება რელიგიურ საზღვრებს და შუა საუკუნეების დოგმატური, პირობითი ხასიათის ხელოვნებაში საერო, „რეალისტური“ ტენდენციის არსებობაზე მიუთითებს. საყურადღებოა, რომ შემოქმედების ასეთი თავისუფლება გამოამჟღავნა ოსტატმა ხელოვნების ცენტრებისაგან დაშორებულ მთიან რაიონში, სადაც, როგორც ჩანს, ხელოვნება არ იყო მკაცრად რეგლამენტირებული.

ქოროღოს რელიეფების ციკლი, რომელშიც შრომის პროცესის თანმიმდევრული გადმოცემა თავისთავად, დამოუკიდებელ ამოცანას წარმოადგენს, უნიკალურია იმ დროისათვის. ქართულ ხელოვნებაში ცხოვრებიდან აღებული კონკრეტული ამბის ასახვისადმი ინტერესი პროგრესულ მოვლენას წარმოადგენდა.

ისტორიულ პირთა მრავალრიცხოვანი გამოსახულებანი, აგრეთვე, შრომის პროცესის ამსახველი სცენები შუა საუკუნეების ქართულ სკულპტურაში საერო ელემენტის მნიშვნელობაზე მიუთითებს. მომდევნო ხანაში (XI საუკუნიდან მოყოლებული და შემდეგ). შუა საუკუნეების მთელ მანძილზე ისტორიულ პირთა, კტიტორების გამოსახულებებმა ფართო გავრცელება ჰპოვეს საქართველოს მონუმენტურ მხატვრობაში.

**ნათელა ალადაშვილი,**
**ხელოვნებათმცოდნეობის კანდიდატი**

# ვინ ვისი ნათესავია?

**ბერჯან ჯაკითი**

ანატოლიაში მოგზაურობის დროს კარაგოზმა ჯიშიანი ძაღლი იყიდა და ბურსაში წაიყვანა. ერთ დღეს ძაღლი ავად გახდა. სასოწარკვეთილებაში ჩავარდნილმა კარაგოზმა ძაღლის გადასარჩენად ყოველი ღონე იხმარა. მან ხელები აღაპყრო და ღმერთს შეევედრა:

— ღმერთო! ამ მინდორზე თხუთმეტი ცხვარი რომ ძოვს, მათი სული მიიღე, ოღონდ ეს ძაღლი გადამირჩინე!

ძაღლმა სული განუტევა. კარაგოზმა ძაღლი დიდი პატივით დაასაფლავა, ახლა ცხვრების ჯავრი ჰკლავდა, რომელთა სული ძაღლს ანაცვალა. ბოლოს გადაწყვიტა ყადთან, ერზურუმელ ჰოჯა შაქი ეფენდისთან მისულიყო.

ყადთან მივიდა და უამბო, რაც შეემთხვა.

შაქი ეფენდიმ რომ დაინახა საქმე გულუბრყვილო კაცთან ჰქონდა, წიგნი გადაშალა, ვითომ შიგ რაღაც ამოიკითხა და კარაგოზს უთხრა:

— ვიპოვე! წიგნში წერია, ცხვარი თურმე მე უნდა დამრჩეს!

გაოცებული კარაგოზი ყადს მიაშტერდა:

შაქი ეფენდი მისმა დაჟინებულმა მზერამ განარისხა და დაუყვირა:

— რა იყო, ასე რატომ მომშტერებიხარ?!

კარაგოზმა, სიცილი რომ შეეკავებინა, ტუჩზე იკბინა და უპასუხა:

— ამ მემკვიდრეობის მიზეზი ვერ გამიგია, ბატონო. თქვენ ერზრუმელი ბრძანდებით, ჩემი ძაღლი კი ანატოლიიდან იყო, ერთი ქალაქიდან არა ხართ, ერთი გვარისა არა ხართ, ნათესავებად როგორღა ერგებით ერთმანეთს?!

თურქულიდან თარგმნა
ლალი ბერუაშვილმა.

# ძველი პრესის ფურცლებიდან

□

როგორც ცნობილია, ვიქტორ ჰიუგო საოცარი სიმშვიდით უყურებდა თავის პიესას, რომელიც თეატრის სცენაზე იდგმებოდა. მწერალს თავისი პიესის არც მოწონება და არც დაწუნება, ტაშისცემა და სტვენა არ აღელვებდა.

□

როსინი ერთადერთი კომპოზიტორი იყო, რომელიც ჰიუგოსავით ყოველთვის დამშვიდებული უყურებდა თავის ოპერებს.

ერთხელ, როდესაც როსინის ოპერა „სევილიელი დალაქის" პრემიერა მიდიოდა, მაყურებელმა ოპერის დაწუნების ნიშნად და ავტორის გამოხაჯავრებლად ხმაური და სტვენა ატეხა.

როსინი, რომელიც წარმოდგენას ესწრებოდა, ადგილიდან წამოდგა, თავაზიანად უკრავდა თავს ოპერის დამწუნებლებს.

□

განთქმული მომღერალი ლაბლაში ისეთი მსუქანი და სქელი კაცი იყო, რომ იმის მსგავსი იშვიათად მოიძებნებოდა. ერთხელ ვენაში ლაბლაშმა ეტლი იქირავა წასასვლელად. მეეტლემ შეხედა ლაბლაშს და ჰკითხა:

— ბატონო, როგორ მიბრძანებთ, ერთბაშად წაგიყვანოთ, თუ ორ გზად?

□

— შვილო, შენ პატარა ხანს შინ იჯექი, მე წავალ მესაათესთან და საათს მივცემ გასაწმენდად, გუშინდელს აქეთია საათი გაჩერებულია, — უთხრა მამამ თავის პაწია შვილს.

— არა, მამა, საათს გაწმენდა არ უნდა, გუშინ კარგა ხანი საპნითა და ქვიშით ვხეხე და მერე მდინარეზედაც ჩავიტანე გასარეცხად, — უპასუხა შვილმა.

□

— ღმერთმანი მიკვირს, როგორა ცხოვრობთ, რომ თავის დღეში ვალს არ იხდით?

—იცით რა გითხრათ, ვალის გადახდა ყველა პატიოსანი კაცის მოვალეობაა და, გარდა ამისა, ეს ჩემთვის უმაღლეს სიამოვნებას შეადგენს, მაგრამ მე ისეთი ეგოისტი არ გახლავართ, რომ ჩემი საკუთარი სიამოვნებისათვის ვიცხოვრო.

□

ერთმა მდიდარმა კაცმა თავის ბაღის ჭიშკარზე ასეთი წარწერა გააკეთა: „ამ ბაღს იმას ვაჩუქებ, ვინც კმაყოფილია თავის ბედით".

ბევრმა წაიკითხა ეს უცნაური წარწერა, მაგრამ არავინ არ თვლიდა თავის თავს ბედნიერად. მხოლოდ ერთ კაცს მოუნდა ამ ბაღის დასაკუთრება. მივიდა პატრონთან და უთხრა:

— მე კმაყოფილი ვარ ჩემი ბედისა და მომეცით ბაღი!

— შენ რომ კმაყოფილი იყო შენი ბედისა, მაშინ არც ბაღსა მთხოვდი, — უთხრა ბაღის პატრონმა.



ერსკინ კოლდუელი

მოთხრობა

# ცხენის ქურდი

არ მომიპარავს ლად მოზლის ამლაკი ცხენი! ამბობენ, თითქოს მე ვიყო ქურდი, მაგრამ, ვინც ცოტათი მაინც მიცნობს, დამემოწმება, რომ ჩემს ცხოვრებაში მსგავსი არაფერი ჩამიდენია. ჰკითხეთ მისტერ ჯონ თერნერს, ყველაფერს გიამბობთ ჩემზე. ზუსტად არ ვიცი, მაგრამ აგერ უკვე რამდენი წელია მასთან ვმუშაობ, თითქმის მთელი ჩემი ცხოვრება, ბიჭობიდან მოყოლებული, მასთან ვარ; ჰოდა, მისტერ ჯონმა იცის, რომ მე არ მოვიპარავდი ცხენს. ლად მოზლი იფიცება, მან მომპარაო, გეფიცებით, არ მომიპარავს, განა იმისთვის დავიბადე ამქვეყნად, რომ ცხენის ქურდი ვიყო?!

გუშინწინ საღამოს მისტერ ჯონმა მითხრა ჩემი ფაშატი გაატარე, მერე ცოტა ხნით ერთი ადგილისკენ გავუხვევ-მეთქი ვთხოვე. კარგით მითხრა, ოღონდ ბეტსი აუცილებლად გაატარეო. ორი წელი იქნება, კვირაობით ბეტსი დამყავს ხოლმე. მისტერ ჯონმა მირჩია, ცხენისთვის ტყავის უნაგირი დამედგა, მე ვუთხარი, უუნაგიროდაც იოლად გავალ-მეთქი; რად მინდოდა ალვირი, სადავე და მისი ჯანი, ასე სიარულს რა ჯობს! უნაგირს ჭრაჭა-ჭრუჭი გაუდის და იქ, სადაც მივდიოდი, ასე მერჩია წასვლა. ცუდს კი არაფერს ვაპირებდი, მაგრამ ის ამბავი მხოლოდ მე მეხებოდა, და არავის არა აქვს უფლება ჩამეძიოს. თითქმის ყოველ კვირა ღამეს შეკაზმული ცხენით დავდიოდი ხოლმე იქ, მაგრამ ის ღამე ხუთშაბათი იყო; აი, რატომ ვთქვი უარი უნაგირზე.

მისტერ ჯონი დამემოწმება, მე ის კაცი არა ვარ, ტყუილუბრალოდ ხათაბალაში გავხვეულიყავი. ჰკითხეთ მისტერ ჯონს, პატარაობიდანვე მიცნობს. არც მას და არც სხვას იოტისოდენა წყენა არ ახსოვთ-ჩემგან.

იმ საღამოს, ვახშმობის შემდეგ, ბეტსი თავლიდან გამოვიყვანე, მისტერ ჯონი გარეთ გამოვიდა და მითხრა, იქნებ ტყავის უნაგირი მოიხმარო; ბეტსი ძვალტყავა კი იყო, მაგრამ ამას დაგიდევდით?! უარი ვუთხარი; როგორც გინდა, ჩემთვის სულ ერთიაო, მითხრა, შენ იკითხე, თორემ მე რაო. მისტერ ჯონი იქვე იდგა, ბეტსის ფაფარზე ხელს უსვამდა, უნდოდა გაეგო, საით გავწევდი, მაგრამ არაფერი უკითხავს. კარგად იცოდა, სადაც მივდიოდი. მისტერ ჯონმა ჩემს შესახებ ყველაფერი იცის. მგონი, უნდოდა სიცილი დაეყარა ჩემთვის, მაგრამ თავს იკავებდა, რაკი ვერ მათქმევინა საითკენ მქონდა გზა. მითხრა, თუ არ შეწუხდები, შეგიძლია, უუნაგიროდ წახვიდეო; ჰოდა, გავაღე ჭიშკარი და ბიშოპის გზაჯვარედინისკენ გავწიე.

ეს იყო გუშინწინ, ხუთშაბათ საღამოს, მართალია, შეღამებული იყო, მაგრამ მაინც ვხედავდი მისტერ ჯონს; ჭიშკარს მიყრდნობილი მიყურებდა, საით წავიდოდი. იმ დღეს ახალ ნაკვეთსა ვხნავდი და ძალიან დავიღალე. ეს იყო მიზეზი იმისა, რომ ცხენი არ გამიჭენებია, კვირაობით კი გავაქროლებდი ხოლმე. ნელა მივდიოდი, ბეტსი ნებაზე მივუშვი, მაინცდამაინც არც მეჩქარებოდა. დრო სამი საათი მქონდა, გასავლელი კი მხოლოდ სამ მილზე ნაკლები თუ იქნებოდა...

* * *

ლად მოზლის უმცროს ქალიშვილთან — ნეომისთან რომ დავდიოდი ყველამ იცოდა; იმ ღამესაც მის სანახავად მივეშურებოდი, ოღონდ, იქ ათის ნახევრამდე ვერ გამოვჩნდებოდი. ლად მოზლი ნებას მაძლევდა ნეომის კვირაში მხოლოდ ერთხელ — კვირა საღამოს შევხვედროდი.. მაგრამ, ხუთშაბათ საღამოს ოთხჯერ ისე ვნახე ნეომი, ლად მოზლის არაფერი გაუგია. ნეომიმ თვითონ მითხრა, ხუთშაბათობითაც მოდიო. ნეომი ეზოში ხეებზე ჩამოკიდებულ საქანელასთან გამოდიოდა ხოლმე.

ღმერთი, რჯული, ლად მოზლის ავი აროდეს გამივლია გულში, მისტერ ჯონ თერნერი დამემოწმება. ვერ ვიტყვი, ლად მოზლი ძალიან მიყვარს-მეთქი, ლად მოზლმაც იცის — კვირაში ერთხელ ნახვა ქალიშვილისა, რომელიც გიყვარს, როგორც მე. რა ბედენაა?! ვიცი, მასაც მოვწონვარ, თორემ რატომ მეტყოდა ხუთშაბათობითაც მოდი ხოლმეო. როცა ლად მოზლიმ მითხრა, არ მოხვიდეო, მას ეშინოდა—კვირაში ერთხელ მეტად რომ შევხვედროდით მე და ნეომი, ისე დავქორწინდებოდით, ვერაფერს გაიგებდა. ამიტომ მითხრა, ერთხელ მოდი, ისიც მხოლოდ კვირა საღამოთიო.

... აი, რა მოიფიქრა — უნდა ციხეში ჩამსვას ოცი წლით, მისი ამლაკი ცხენის, მერცხალას ქურდობისათვის. კარგად იცის, მისი ცხენის ქურდი არა ვარ, მაგრამ იფიქრა, კარგი შემთხვევა მომეცა, გზიდან ჩამოვიშოროო. ამასობაში ნეომის სხვას მიათხოვებს.., თორემ ცხენის ქურდი რომ არა ვარ, ამ მხარეში ყველამ იცის. მისტერ ჯონ თერნერიც ამასვე იტყვის. მისტერ ჯონმა, იმდენხანს ვმუშაობდი მასთან, იცის ვინა ვარ, ხცადა კიდეც ოჯახის წევრად მივეღე, მაგრამ არ ვისურვე, მომერიდა.

ჰოდა, გუშინწინ, ხუთშაბათ საღამოს, შეუკაზმავ ბეტსიზე ამხედრებული სახლიდან წაველი, ცოტა ხანს მდინარის შენაკადთან შევჩერდი, სადაც ჩვენ ვცხოვრობდით იქიდან ერთი მილის მოშორებით, როცა კვლავ საათს დავხედე. ზუსტად ცხრა იყო, ბეტსიზე შევჯექი და ლად მოზლისაკენ გავწიე. სიწყნარე სუფევდა სახლსა და ეზოში — ლადი ამ დროს იძინებდა ხოლმე. ხუთშაბათ საღამოს პირდაპირ ჭიშკარს მივადგებოდი ხოლმე, ახლაც ასე მოვიქეცი. ნეომის ოთახში, სადაც იგი თავის დასთან მერი ლისთან ერთად იძინებდა სინათლე ენთო. იმედი მქონდა, მერი ლი სადმე გაისეირნებდა, ან ათის ნახევრისთვის დაიძინებდა მაინც. ფანჯარაში შევიხედე და დავინახე, ნეომი თავის საწოლზე იწვა, მერი თავზე დახდგომოდა და რაღაცას ესაუბრებოდა. შევატყვე, საქმეს კარგი პირი არ უჩანდა. რაკი მერი ლი იმის ცდაში იყო, ნეომს როგორმე ადრე დაეძინა, საქმე კარგად არ იყო — ნეომის საათზე მეტი სჭირდებოდა, ოთახიდან რომ გამოეღწია; უნდა დაეცადა, სანამ მერი ლი დაიძინებდა... მერე ადგებოდა, ჩაიცვამდა, ბაღში, ხეებზე გაბმულ საქანელასთან ჩემთან შესახვედრად ფეხაკრეფით გამოვიდოდა.

... ბეტსიდან ჩამოხტომა არც მიფიქრია, მაინტერესებდა, როგორ მოახერხებდა ნეომი მერი ლისგან თავის დაღწევას. ჩვენი საიდუმლო რომ გაგვენდო მერი ლისთვის, შეიძლება არავისთვის ეთქვა, მაგრამ ნეომი ვერ ბედავდა რისკზე წასულიყო. შესაძლო იყო, მერი ლი სულ სხვაგვარად მოქცეულიყო, ლად მოზლისათვის ყველაფერი ეთქვა, ჩვენც სწორედ ამის გვეშინოდა.

ცოტა ხნის შემდეგ ნეომი ადგა და გაზდა დაიწყო. ერთი საათი ან უფრო მეტი მაინც უნდა მეცადა, სანამ ჩემთან გამოვიდოდა. მთვარე ამოსვლას იწყებდა და დღესავით (ნათდებოდა იქაურობა. სხვა დროს ჭიშკარს გავაღებდი ხოლმე და ბეტსის ეზოში შევუშვებდი, იმ ღამეს კი ვერ გავბედე — ლად მოზლი რომ ადგეს, ვთქვათ, წყლის დალევა მოუნდეს, გარეთ გამოიხედოს და დაინახოს, ცხენი დგას თავლასთან, იფიქრებს, ჩემი ცხენი გარეთ გამოსულაო, გამოვა და თავლაში შეიყვანს, თუ ბეტსის მოჰკრა თვალი, გაიგებს, რომ თავისი ფაშატი არ არის და კარგ დღეს არ დააწევს... თავლა გავაღე და ფაშატი შიგ შევუშვი, სიბნელეში ცარიელი სადგომი მოვსინჯე. მივაგენი თუ არა, ბეტსი შიგ დავაყენე ახანთის გაკვრისა მეშინოდა, სწორედ იმ დროს არ მოსდგომოდა ფანჯარას ლად მოზლი და სინათლეს რომ დაინახავდა, გარეთ არ გამოსულიყო. კარი მივხურე და გარეთ გამოველი, ეზოში ვიცდიდი, სანამ ნეომი ჩემთან გამოსვლას მოახერხებდა.

თორმეტის ნახევარი, ან ღამის პირველი საათი იქნებოდა, შინ წასასვლელად რომ შევემზადე. მთვარე ღრუბლებში გახვეულიყო და ისე ბნელოდა, ვერაფერს დაინახავდით, ახანთის გაკვრაც სახიფათოდ მივიჩნიე, ხელის ცეცებით მივაგენი კარს. შიგ შევაბიჯე და ბეტსი გამოვიყვანე. სიბნელეში კისერზე მოვუთათუნე ხელი, ვიფიქრე, ალვირი გადაუგდია-მეთქი, როცა დიდხანს დგომა მოუწევდა ალვირმოუშორებლად, ყოველთვის ასე იცოდა. არადა, ისე შეჯდომაც ვერ გავბედე, არ დაფრთხეს, ლად მოზლი არ გაეღვიძოს-მეთქი. მიწაზე ხელის ცეცებით მოვჩხრიკე, მაგრამ ალვირი ვერსად ვიპოვე, თავლის კარებთან მივედი, იქნებ, სიჩქარეში მე მოვხსენი და ჩამოვკიდე-მეთქი; აშარა ხელთ მომხვდა, ბეტსის მოვარგე და გარეთ გამოვიყვანე. სიბნელეში ხელის ფათურით მივიკვლევდი გზას ჭიშკრისკენ. როცა გზაზე გავედი, ცხენზე შევჯექი და შინისკენ გამოვწიე. მომეჩვენა, რომ ბეტსი რაღაც უცნაურად მიტორტმანებდა — ხან ერთ გვერდზე გადამაქანებდა, ხან-მეორეზე. მაგრამ არას დაგიდევდით, ოღონდ სამშვიდობოს გავსულიყავი, არავის შევემჩნიე, არავინ გამომდგომოდა. მშვიდობით მივედი შინ, ცხენს ალვირი მოვხსენი და თავლაში დავაყენე...

მეორე დილით ავდექი, ვისაუზმე, ჯორები შევაბი, ნაკვეთის მოსახნავად უნდა წავსულიყავი. ამ დროს ვხედავ, ქალაქის გზიდან ლად მოზლი და კიდევ სამი-ოთხი კაცი, მათ შორის შერიფი, ცხენებს ჩვენსკენ მოაჭენებენ. მოვიდნენ, ცხენები ბაგაზე მიაბეს, მათ შესახვედრად მისტერ ჯონი გავიდა, შერიფს მხარზე ხელი დაჰკრა და რაღაც სასაცილო ამბავი უამბო. ნახევარი საათის შემდეგ შერიფმა მისტერ ჯონს ჩემი ასავალ-დასავალი ჰკითხა. მისტერ ჯონმა უთხრა, ამ გაზაფხულზე სიმინდი რომ დავთესეთ ახალ ნაკვეთზე, იქ წასასვლელად ემზადებაო; მერე შერიფმა თქვა, მისი დაპატიმრების ბრძანება მაქვსო. მისტერ ჯონმა ჰკითხა, ხუმრობაა თუ რაო?! შერიფმა მიუგო, ლად მოზლის ცხენი მოიპარაო. მისტერ ჯონმა გაიცინა, ისევ ხუმრობა ეგონა, მაგრამ შერიფმა ქაღალდი აჩვენა. მისტერ ჯონს მაინც არა სჯეროდა და მიუგო, აქ რაღაც გაუგებრობაა, იგი ცხენს არ მოიპარავდაო. მისტერ ჯონმა იცის, ცხენიპარია, რომ არა ვარ; ჩემს სიცოცხლეში ასეთი საქმე არ ჩამიდენია.

წამიყვანეს პირდაპირ ქალაქში და შერიფის ციხის საკანში ჩამსვეს. ლად მოზლის ცხენი არ მომიპარავს და ამიტომ სულაც არ ვღელავდი. ქალაქში ჩამიყვანეს თუ არა, ისინი უკან დაბრუნდნენ და შერიფმა თავლაში შეიხედა. — იქ ლად მოზლის ამლაკი ცხენი. მერცხალა ბეტსის სადგომში ნახა; მისტერ ჯონმა თქვა, არეულ-დარეულია ყველაფერი. ვიცი, იგი ცხენის ქურდი არ არისო. იცოდა, ამ საქმეს არ ჩავიდენდი, მაგრამ ცხენი იქ იყო, ამლაკი ცხენი, მერცხალა, და მისი აუშარაც თავლაში კარებზე ეკიდა. ამის შემდეგ ისინი უკან, ლად მოზლისთან გაემართნენ და თავლაში ჩემი ფეხის ნაკვალევი გაზომეს, შემდეგ კი ბეტსის ალვირი იპოვეს. ლად მოზლიმ თქვა, მისტერ ჯონის ფაშატით მოვიდაო ჩემთან, თავისი ცხენი გაუშვა, ჩემს მერცხალას ლაგამი ამოსდო და წაიყვანაო. იმაზე კი თუ როგორ აღმოჩნდა აუშარა მისტერ ჯონის თავლაში, კრინტიც არ დაუძრავს. ლად მოზლის თავლის კარები ჩაკეტილი არ იყო, არც ძალით იქნებოდა გატეხილი, როცა ბეტსი იქ დავინახე, ალბათ, დამავიწყდა კარი კარგად მიმეხურა. კი, ნამდვილად ასე იყო, ბეტსი თავლიდან გამოვიდა და იმ ღამესვე დაბრუნდა შინ.

ლად მოზლის უთქვამს ოც წელს აუკიდებო; რა თქმა უნდა, იქიდან როგორ დავადგამ თვალს მის უმცროს ქალიშვილს ნეომის?! მას უნდა ნეომი ერთ ქვრივს მიათხოვოს; ამ კაცს ბიშოპის გზაჯვარედინის გაღმა ფერმა, ოცი გუთანი და დიდი თეთრი სახლი აქვს.

მისტერ ჯონ თერნერმა მითხრა, ქალაქის საუკეთესო ადვოკატს დაგიყენებ დამცველადო, მაგრამ აქედან დიდი არაფერი გამოვა, ლად მოზლის თავლაში ყველგან ჩემი ფეხის ნაკვალევია, მისტერ ჯონისთან კი მერცხალა ნახეს.

შემეძლო ამ საქმიდან სუფთად გამოვსულიყავი, მაგრამ არ მიყვარს ასეთი რამეები. ნეომისთვის არ იქნებოდა ლამაზი, რომ მეთქვა მის სანახავად წაველი და ბეტსი თავლაში დავაყენე, მერე რაკი ბნელოდა, წამოსვლისას შეცდომით მერცხალა გამოვიყვანე-მეთქი. დიახ, არ იქნებოდა ლამაზი... იგი იძულებული იქნება აღიაროს, ხუთშაბათობით, როცა ყველას ეძინა, ჩემთან შესახვედრად სახლიდან რომ გამოდიოდა, მთელი ქვეყანა გაიგებს. იქნებ ერთ მშვენიერ დღეს სხვას გაჰყვეს ცოლად და რად უნდა გაუვარდეს ცუდი სახელი?!

ნეომმა იცის, ცხენის ქურდი რომ არა ვარ, იცის, როგორც იყო ყველაფერი, შეცდომით როგორ წავიყვანე ლად მოზლის ამლაკი ცხენი — მერცხალა, სიჩქარეში თავლის კარები ჩაუკეტავი რომ დამრჩა, ბეტსი გამოვიდა და შინ რომ მოვიდა...

ლად მოზლი სასამართლოში ყველას ეტყვის, რომ ოც წელს აჰკიდებს, თუ ასე იქნება, ნეომის იმ ქვრივ ფერმერს მიათხოვებს.., ასე მოიქცევა ლად მოზლი, აბა, რა იქნება?! იმიტომ რომ საფანგში მომიმწყვდია და შესაძლებელია, ადრეც გამამგზავროს, სანამ ნეომის სიმართლის თქმის შემთხვევა მიეცემა.

ვინ იცის, იტყვის კი სიმართლეს ნეომი შემთხვევაც რომ მიეცეს?! ყველამ იცის, მისტერ ჯონის ერთი საწყალი კაცი ვარ და მეტი არაფერი; იქნებ სასამართლოზე ნეომი სულაც არ მოვიდეს და არც არაფერი თქვას!

შემეძლო შერიფისათვის ყველაფერი დაწვრილებით მეთქვა და ეს ლომხალი გარკვეულიყო. მაგრამ ნეომზე საქვეყნოდ არავის არ ვალაპარაკებ!

იმ დღეს ხუთშაბათის ნაცვლად კვირა რომ ყოფილიყო, მაშინ ყველაფერს ვიტყოდი, მაგრამ ახლა ცუდად გამოვა.

თუ ნეომი ქალაქში ჩამოვა და სიმართლეს იტყვის, ხელს არ შევუშლი... ეს იმის ნიშანი იქნება, რომ გადაწყვეტილი აქვს ჩემი ცოლობა.

თუ შინ დარჩა და ამით ლად მოზლისა და იმ ქვრივ ფერმერს საშუალებას მისცემს ოცი წლით ჩამსვან, დაე, ასე იყოს, რა გაეწყობა?!

ნეომის ყოველთვის ვეუბნებოდი, შენი გულისთვის რას არ ჩავიდენ-მეთქი და მგონი, ახლა ის დროა, დავუმტკიცო, ჩემი სიტყვის პატრონი ვარ თუ არა.

ინგლისურიდან თარგმნა
მალიკო ხელაშვილმა



მხატვარი თენგიზ სამსონაძე

საქ. სსრ კ. მარქსის სახ. სახ. რესპუბ. ბიბლიოთეკა

თენგიზ კობერიძე

# ორი ლექსი

□

ამავსე რწმენით
და ვიქნები შეუპოვარი.
ამავსე გრძნობით
და ვიქნები შენი დამყოლი.
ბედს მე თვით შევქმნი,
არ ვიქნები მასზე მგლოვარი,
ვიქნები შენი გულისწორი,
შენი გამგონი,
მებრძოლი სულით,
ჩემი ჯიშით სწორუპოვარი.

□

დაღდასმული ბრძოლით,
ცად ასული მთებით,
სიყვარულის თრთოლვით
და შემკული კდემით,
სამშობლოა ჩვენი,
საფიცარი ჩვენი!

აღსასრული მტერთა
თავს დატეხა მეხთა.
ჩვენი ხორცით, სისხლით
ვაჟ-ასული მისი,
დიდებაა ჩვენი,
სიამაყე ჩვენი!

და თუ გაიცანი,
უმალ ძმად იცანი.
გაზაფხული ძმობის,
დადაფნული შრომით,
სამშობლოა ჩვენი,
სიამაყე ჩვენი!

## [illegible]

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიუხედავად იმისა, რომ ღარიბი და შეუხედავი ვიყავი, მამაჩემის დედინაცვალმა მაინც მიწინასწარმეტყველა, რომ ოქსფორდის უნივერსიტეტს დავამთავრებდი, ფრანსუა დე შევალიეს ერთადერთ შვილიშვილზე ჯვარს დავიწერდი და პარიზში ლუვრის სასახლეში ვიცხოვრებდი. მაგრამ რატომღაც ეს ასე არ მოხდა.

თელავის პედაგოგიური ტექნიკუმი დავამთავრე, ფრანსუა დე შევალიეს ერთადერთ შვილიშვილის შერთვაზე უარი განვაცხადე მექოთნის ქალიშვილზე ჯვარი დავიწერე და პარიზის ნაცვლად ჩუღურეთის უბანში დავსახლდი.

ჩემი ავტობიოგრაფიული პროლოგით თავი რომ არ შეგაწყინოთ და ნაადრევი ეპილოგით გული არ დაგწყვიტოთ, პირდაპირ ამბავზე გადავალ.

მე ვინც მიყვარდა, იმას სულ სხვა მოსწონდა, იმ სხვას კიდევ სულ სხვა ვინმე უყვარდა. ვიდრე გავიგებდი, თუ ვის ვინ უყვარდა, ამასობაში 45 წლის ზღურბლს გადავაბიჯე და როცა ოჯახის შექმნაზე სამუდამოდ ხელი ჩავიქნიე, სწორედ მაშინ გავიგე სენსაციური ამბავი, რომ ჩვენი უბნის შინაბერა, 60 წელს მიტანებული მარგო ტიკჭორაშვილი გათხოვდა. გახარებულმა მაშინვე მარგოსთან მივირბინე, მარგო სადაფით მოოჭვილ სავარძელში იჯდა, ფლავისათვის დედამთილის მიერ მირთმეულ ქიშმიშს არჩევდა. ნაზად იღიმებოდა და თვალებს მეორედ გათხოვილი პატარძალივით ნაბავდა.

— დეიდა მარგო, — პირდაპირ მივახალე, როგორ მოახერხეთ გათხოვება?

უკბილო პატარძალმა ტკბილად ჩაიხითხითა, ყბიდან ამოვარდნილი პროტეზი შეისწორა, ფანქარი მოიმარჯვა და თაქლო მკითხავის კორდინატები დამიწერა. 20 წუთში თაქლოსთან ვიყავი. იგი ეზოში იჯდა, ხელში ქაფქირი ეჭირა და შავ კატას უპილპილო ხაშლამას აჭმევდა. მან მუშტრის თვალით ამათვალიერ-ჩამათვალიერა და გულისტკივილით წარმოსთქვა:

— ტყუილად მოსულხარ, ვერ გიმკითხავებ, მასალა გამითავდა.

— რა მასალა! — გაოცებით ავიჩეჩე მხრები.

თაქლომ მწარედ ამოიკვნესა, ქუჩაში მიმავალ ახალგაზრდებს შეავლო თვალი, ქოქოლა მიაყარა და აღელვებით დაიწყო:

— გაფუჭდა ჯეელობა, ყველა — დიდი თუ პატარა ნალექიან ყავაზეა გადასული, დღეს ვერ ნახავ ისეთ ახალგაზრდებს, რომ შესვენების დროს ყავაზე არ მკითხაობდნენ. აბა ამდენი ვაი-მარჩიელებს რა ყავა გაუძლებს, შვილო. სწორედ მათი წყალობითაა, რომ თბილისში ზოგჯერ ნალექიანი ყავა არ იშოვება.

— ყავა რომ ვიშოვო, მიმკითხავებ?

— ვერ იშოვი, შვილო, ამოიოხრა თაქლომ და შავ კატას ფერდებში ჭიტლაყი ამოსცხო.

მესამე დღეს შატილში ნაყიდი ყავით და მიხაკებით ხელდამშვენებული თაქლოს ჭიშკარს მივადექი, ეზოში აუარება ხალხი ირეოდა. მე რომ დამინახა, პერსონალურად გამიღიმა, ძველი დოსტივით მომესალმა, რიგ გარეშე ოთახში შემიყვანა და მოკრძალებით მკითხა:

— სად დამეკარგე, შე თოროზას გუდავ?

— ყავის საშოვნელად ვიყავი წასული შატილში, დეიდა თაქლო.

— უი მომიკვდეს თავი, შატილში რა მიგარბენინებდა. შე ღმერთძაღლო, ორი დღეა, რაც თბილისის გასტრონომები ნალექიანი ყავით დაიძძგვა. იფ რა დოირანი დამიდგა! წლის ბოლომდე ნალექიანი ყავა თავზე საყრელად მექნება და მუშტარიც ულეველი მეყოლება, — ცუნცრუკით წარმოთქვა თაქლომ, თეთრი ხილაბანდით შუბლი გამიკრა, დენიკინის დროინდელი ჭიქით ყავა დამალევინა, ჭიქა საინზე გადააპირქვავა და ჩურჩულით მკითხა:

— ცოლი თუ გყავდა, რატომ გაეყა-

# ფეხბურთი-
# ჩემი სიყვარული!..

(დასასრული. იხ. გვ. 19)

თამაშე, რომელიც უგულოდ, **ვალის მოხდილად გამოდის** მოედანზე, ან ცდილობს თავისი ნაკლის უხეშობით კომპენსირებას.

ახალბედა რომ ვიყავი, მცველები უფრო მკაცრად მექცეოდნენ, ახლა დამოკიდებულება შეიცვალა, მაგრამ კვლავ არიან ისეთები, რომლებიც არ ღალატობენ ამ ულირს გზას.

— სამწუხაროდ, ეს მარტო თქვენი ხვედრი როდია.

— ვიცი. მწვრთნელები ხშირად მსაყვედურობენ, არ უნდა აჰყვე სხვის უხეშობასო, ვცდილობ ასე მოვიქცე, მაგრამ ყოველთვის როდი გამომდის.

დავით ყიფიანმა უთუოდ არ იცის, თუ რა თქვა ამის თაობაზე „კარდიფსიტის" მწვრთნელმა დ. ენდრიუსმა. მან მაღალი შეფასება მისცა ყიფიანს, როგორც ფეხბურთელს, მაგრამ ისიც დასძინა: ასეთი კლასის მოთამაშე მეორე ხარისხოვანი საქმეებით არ უნდა იყოს დაკავებული, ყიფიანი კი ძალზე იოლად ეგება „სათამაშო პროვოკაციებზეო".

— ვინ არის თქვენი იდეალი ფეხბურთში?

— ერთ დროს პელე იყო. ახლა — კრუიფი. მისი თამაში ჩემს ხასიათს შეესატყვისება.

— ასეთ ფეხბურთელებთან ნაცნობობა, მათი მონაწილეობით მატჩების ნახვა ხელს უწყობს კლასის ამაღლებას, არა?

— რასაკვირველია. ეს მეტად საჭირო სკოლაა, რომლის გარეშე დიდ ფეხბურთზე ფიქრიც კი ზედმეტია!

— ამ მხრივ კარგ სამსახურს გაგიწევდათ ოლიმპიური თამაშები?!

— ნორმალური პირობებში ასეც უნდა ყოფილიყო, მაგრამ მე ისეთი ტრავმა მომაყენეს, კოლექტივისა და ახლობლების დიდი მხარდაჭერა რომ არა, უთუოდ ვერ შევძლებდი კვლავ მწყობრში ჩადგომას.

— თქვენ კოლექტივის მხარდაჭერა ახსენეთ, ხომ არ მიგაჩნიათ, რომ გუნდის აღმავლობის ერთ-ერთი საიდუმლო სწორედ ამაშია?

— მე ვიტყოდი, არა თუ ერთ-ერთი, ერთადერთი-მეთქი. ფეხბურთს თერთმეტი კაცი თამაშობს, საკმარისია რომელიმე მათგანი განუდგეს კოლექტივს, დაარღვიოს რეჟიმი, უგულოდ მოეკიდოს წვრთნას, რომ ყველაფერი წყალში ჩაიყრება. იმ გაზრდილ მოთხოვნათა დაკმაყოფილება, რასაც სპორტსმენისგან თანამედროვე ფეხბურთი მოითხოვს, კარგ ფიზიკურ მომზადებასთან ერთად, შესატყვის ინტელექტსაც საჭიროებს. სწორად იცხოვრო მოედანზე თუ მის გარეთ, იყო საზოგადოების სრულფასოვანი წევრი, ჭეშმარიტი მოქალაქე, ეს მხოლოდ გონიერი და განათლებული კაცის ხვედრია. კოლექტივი მაშინაა ძლიერი, რაც უფრო მეტი ასეთი მოთამაშე მოიყრის მის შემადგენლობაში თავს.

— გარდა ფეხბურთისა, რითი ხართ გატაცებული?

— თავისუფალ დროს ოჯახში მეუღლესთან და შვილებთან ვატარებ, ვკითხულობ მხატვრულ ლიტერატურას, ვეცნობი თანამედროვე ტექნიკის მიღწევებს, მიყვარს მუსიკა, კინო, თეატრი (თუმცა იშვიათად მიხდება დასწრება) და რასაკვირველია — მეგობრები!

— თასის ფინალური მატჩის ტრანსლაციის დროს, სპორტის დამსახურე-

რე? და თუ არ გყავს, რატომ არ შეეყარე?

— ეჰ, — ამოვიოხრე, — ცოლი რომ მყავდეს, აქ რა ჯანდაბა მომიყვანდა?

— შენ ალბათ ლამაზი ქალი გიყვარს, მამისერთა, მდიდარი, ახალგაზრდა და თანაც პატიოსანი.

— ზუსტად ასეა, მაგრამ იმას არ ვუყვარვარ.

თაქლომ ტკბილად ჩაიქირქილა და თავისთვის ჩაილაპარაკა:

— ამ მამაძაღლს მისტერ ჩესტერფილდის გემოვნება ჰქონია.

კიდევ რაღაცის ჩალაპარაკებას აპირებდა, მაგრამ რატომღაც გადაიფიქრა. სკამიდან ისკუპა, ცხვირზე ნახშირი წაისვა, ოთხჯერ ჩაბუქნა, ჭიქა გადმოატრიალა და ორჭოფულად მაუწყა:

— ვნახოთ, იქნებ მართლაც ბედნიერ მთვარეზე ხარ დაბადებული, შე ყურუმსალო,

მერე ლორნეტს დაავლო ხელი, ჭიქას ასტრონომივით ჩააშტერდა და მარჩიელობა დაიწყო.

— შავადაა, შვილო, საქმე. უბედურ ვარსკვლავზე ყოფილხარ დაბადებული. ყავაში შავწვერა კაცი გამოჩნდა, ხელში ფრანგული გოგრა უჭირავს ეს იმას ნიშნავს, რომ შენი საბედო მელოტ მამაკაცს მიჰყვება.

ხუჭუჭა თმები ყალყზე დამიდგა, ვეღარ მოვითმინე და ხმამაღლა შევყვირე.

— ეგ არ მოხდება, ხათუნა მელოტს არასოდეს გაჰყვება!

— შე მამაცხონებულის შვილო, თუ ყველაფერი იცოდი, აქ რაღას მორბოდი. რახან მობრძანდით, კეთილი ინებე და მისმინე: დღეიდან ნურაფრის იმედი ნუღარ გექნება. ყველა გზა მოჭრილი გაქვს. ხათუნა ცოლად არ გამოგყვება.

ქადაგად დაცემული თაქლო ჭიქას გულისყურით ჩაჭვრიტინებდა და ჩემს უიღბლო სიყვარულზე ახალ-ახალ ცნობებს მაწვდიდა. ვეღარ გავუძელი, თავზარდაცემული სკამიდან წამოვვარდი და ის იყო კედელზე თავი უნდა მეხალა, რომ თაქლომ იკივლა:

— შეჩერდი, ბიჭო, ექვსთვიანი ხომ არა ხარ, სიკვდილს ყოველთვის მოასწრებ! — და მაშინვე ჩურჩულით დასძინა, — მგონი ბედი გაგეხსნა, მგონი კი არა ნამდვილად გაგეხსნა. ხათუნა თეთრ ჯორზე ზის, საქორწინო კაბა აცვია და წელზე აკვნის არტახები არტყია. როგორც კომენტატორები იტყვიან, კომენტარი ზედმეტია, შეიძლება გამოგყვეს. შეიძლება კი არა ნაღდში გამოგყვება. გამოგყვება კი არა, აქეთაც შეგეხვეწება ცეხქვეშაც გაგეგება და მაგ წირპლიან თვალშიც გაკოცებს, ოღონდ ერთი რამაა მოსაკვარახჭინებელი.

— მაინც რა უნდა მოვაკვარახჭინო? — გულის ფანცქალით შევეკითხე თაქლოს.

— არაფერია, შვილო, სულ უბრალო საქმეა. ვაკეში საკუთარი ორსართულიანი სახლი უნდა აიშენო, ვოლგა იყიდო, ცხვირის პლასტიკური ოპერაცია გაიკეთო და, რაც მთავარია, საკანდიდატო დისერტაცია დაიცვა. ეგ არის და ეგ. ამის შემდეგ გზა ხსნილი გექნება და როცა მოგეპრიანოს, მაშინ შეირთე ხათუნა. თუ პირდაპირ სადოქტოროს დაიცავ, ცხვირის პლასტიკური ოპერაციის გაკეთება აღარ დაგჭირდება.

გახარებული წამოვხტი, თაქლოს დაჭმუჭვნილ შუბლს ვემთხვიე, ტკიცინა 25 მანეთიანი ვუფეშქაშე, გულთბილი მადლობა გადავუხადე, მხურვალედ დავემშვიდობე და ვიდრე ვაკეში ორსართულიან საკუთარ სახლს ავაშენებდე და ვოლგას ვიყიდდე, სადოქტორო დისერტაციის დასაწერად გავქანდი!

**თენგიზ პირველი**

---

ბულმა ოსტატმა მასლაჩენკომ, სხვათა შორის ისიც აღნიშნა: დავითმა ინგლისური იცისო.

— ეს უკვე დედაჩემის დამსახურებაა!

— ფეხბურთელის შემოქმედება ყოველი ახალი ჩატარებული მატჩია, რომელი შემორჩა მათ შორის მეხსიერებას?

— გასახსენებელი ბევრია, მაგრამ ყველაზე ცოცხლად — სსრ კავშირის თასის ფინალი. ბედნიერი ვარ, რომ ასეთი დიდი წარმატება სწორედ ჩვენ თაობას ხვდა წილად!

— არ მიგაჩნიათ, რომ ამ სიხარულს ჯერ კიდევ 40 წლის წინათ ჩაუყარეს საფუძველი ბორის პაიჭაძემ და მისმა კოლეგებმა?

— რასაკვირველია. მე მოგახსენეთ, ნაწილი და გამგრძელებლები ვართ იმ დიდი საქმისა, რომელსაც „ქართული ფეხბურთი" ჰქვია.

— ზოგიერთი ფეხბურთელი მეტად მტკივნეულად აღიქვამს ჟურნალისტთა შენიშვნებს, მიაჩნია, რომ ისინი ტენდენციურები არიან, უსაფუძვლოდ ესხმიან მას თავს და ა. შ.

— ჟურნალისტთა ერთი ნაწილი არა კეთილმოსურნედ იყო ჩვენდამი განწყობილი. ისინი არა თუ მალავდნენ. თავიანთ გულისწყრომას, ამბობდნენ, ეს რა გუნდია, ყველანი გასაყრელები არიანო. ასეთი მკაცრი განაჩენის მოსმენა სასიამოვნო არ გახლდათ. რაც შეეხება სხვა საქმიან შენიშვნებს, ყოველთვის გულისყურით ვეკიდებით. სპორტული ჟურნალისტი ვალდებულია, დაინახოს ნაკლი და ფართო საზოგადოებრივ სამსჯავროზე გამოიტანოს.

— წარმატებას და გოლის გატანას გისურვებთ ხვალინდელ მატჩში „კარდიფ-სიტისთან"! — ვეუბნები დავითს გამოთხოვებისას.

— ორივე ერთად მეტისმეტი ხომ არ იქნება. მაგრამ ასე თუ მოხდა, უბედნიერესი ვიქნები!

სწორედ ასე მოხდა — „დინამოელებმა" დაამარცხეს მოწინააღმდეგე. ხოლო იმ სამი მშრალი ბურთიდან მეორე, ულამაზესი თავური დარტყმით, დავით ყიფიანმა გაიტანა...

---

# მონრეალის ამბებიდან

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ფხიზელი მერი

ქალაქ მოროსალიის (კორსიკა) მერი პოლ ფერანდი ფრანგ ტყვიით მსროლელთა შეკრების დროს ყველა ვარჯიშს ესწრებოდა. ფრანგი სპორტსმენები შემდეგ მონრეალში უნდა გამგზავრებულიყვნენ. კორესპონდენტის შეკითხვაზე, როგორ მოემზადნენ ისინი, მერმა განაცხადა:

— წარმოდგენა არა მაქვს. მე მათ კი არა, მაყურებელს ვადევნებდი თვალს. ქალაქის ყველა მცხოვრებს სახეზე ვიცნობ და სასროლეთზე ვინმე უცნობი რომ გამოჩნდეს, მყისვე ვანიშნებ ჩემს ჟანდარმერს. იგი უთუოდ ოლიმპიადაზე ჩვენი კონკურენტების — იტალიელების მოგზავნილი იქნება.

## კულინარიის... დედოფალი

როგორც გაზეთი „სან-ფრანცისკო კრონიკლი" იუწყება, ოლიმპიური ჩემპიონი ფიგურულ სრიალში პეგი ფლემინგი ამასწინათ ცოლად გაჰყვა ექიმ გრეგ ჯენკინსს და სამაგალითო დიასახლისი გახდა. აპრილში მან პირველი ადგილი დაიკავა... მზარეულ ქალთა კონკურსში, რომელიც ქალაქ ხოსეში, სადაც ამჟამად პეგი ფლემინგი (კალიფორნიის შტატი) ცხოვრობს.

## პროფესიული ტერმინოლოგია

ავსტრიელმა სნაიპერმა დოლინგერმა მონრეალში დამბაჩით სროლაში ბრინჯაოს მედალი მოიპოვა. კორესპონდენტის შეკითხვაზე, კმაყოფილია თუ არა იგი შედეგით, სპორტსმენმა ნაღვლიანად მიუგო: „მე ოქროს ვთხრიდი" და ხელი ჩაიქნია.

„ნუ გაგიკვირდებათ მისი ტერმინოლოგია, — განმარტა კორესპონდენტმა, — დოლინგერი პროფესიით არქეოლოგი გახლავთ".

## უპერსპექტივო კლიენტი

მონრეალის ოლიმპიადის საორგანიზაციო კომიტეტის პრეზიდიუმის ერთ-ერთი წევრი იყო სპორტული ჟურნალისტი ლუი შანტინი. მას უშიშარი ადამიანის რეპუტაცია აქვს. მრავალ წლის მანძილზე სწავლობდა პროფესიული კრივისა და მაფიის ურთიერთობის საკითხს. საქმე იქამდეც კი მივიდა, რომ ერთხელ ფრენკი გარბოს განგსტერული სინდიკატის სათანადო „განყოფილების" ბელადისგანაც კი აიღო ინტერვიუ. გაზეთ „ლა-პრესის" კორესპონდენტთან საუბარში ჟურნალისტმა განაცხადა: „დამზღვევი საზოგადოებები ახლოსაც კი არ მეკარებიან. ისინი უარს ამბობენ დააზღვიონ ჩემი სიცოცხლე. ასე განმიცხადეს: „უპერსპექტივო კლიენტი ხართ. რახან აქამდე ცოცხალი დარჩით, ეტყობა არასოდეს არ მოკვდებით".

## „დიდი სახელმწიფოების" დავა

მონრეალის ოლიმპიადაზე მონაკო სპორტსმენთა მეტი რიცხვით იყო წარმოდგენილი, ვიდრე ყველა სხვა „ჯუჯა" სახელმწიფო. მისი ოლიმპიური გუნდი 10 სპორტსმენისაგან შედგებოდა, მაშინ, როდესაც ლიხტენშტაინმა მონრეალში 6 ოლიმპიელი მიავლინა, სან-მარინომ—3, ანდორამ-2, ფიჯის კუნძულებმა-1.

მონაკოს სპორტულ დელეგაციის ხელმძღვანელმა განაცხადა, რომ მისი ქვეყანა „დიდ სპორტულ სახელმწიფოდ უნდა ჩაითვალოს, რადგან სულ 20 ათასი მცხოვრები ჰყავს და 10 სპორტსმენი გამოიყვანა. პროცენტულად თუ ვიმსჯელებთ მაშინ ამერიკის შეერთებულ შტატებს 100 ათასი სპორტსმენი უნდა გამოეყვანა".

ლიხტენშტაინის წარმომადგენლის აზრით, „დიდი სპორტული სახელმწიფო" მონაკო კი არ არის, არამედ მისი ქვეყანაა და აი რატომ? ამ ქვეყნის 22 ათასი მცხოვრებიდან 7 ათასი სხვადასხვა სპორტული ორგანიზაციის წევრია.

## რბილი ხასიათი

მიუნხენში გამართულ პრესკონფერენციაზე მსოფლიოს აბსოლუტურმა ჩემპიონმა მუჰამედ ალიმ განაცხადა, რომ შემოდგომაზე კენ ნორტონთან შეხვედრის შემდეგ სამუდამოდ დაანებებს თავს კრივს. მაშინ ერთ-ერთმა კორესპონდენტმა გაახსენა ჩემპიონს, რომ უკანასკნელი 3 წლის მანძილზე მან ეს უკვე 46-ჯერ განაცხადა და დაპირება არ შეასრულა.

ალიმ ხელები გაშალა: „რას იზამ? ძალზე რბილი ხასიათი მაქვს და თხოვნაზე უარს ვერ ვამბობ. ახლაც, ნორტონთან მატჩის შემდეგ რომელიმე ანტრეპრენიორი რომ მოვიდეს მთხოვოს: „გეთაყვა, ჯორჯ რორნეს შეხვდიო დარწმუნებული ვარ, უარს ვერ ვეტყვი".

# უცხოეთის ჟურნალ-გაზეთებიდან



## ელიზავეტ ტეილორი ჰყიდის ბრილიანტებს

როგორც ჟურნალ „დროშის“ მკითხველებმა იციან, პოპულარული კინოვარსკვლავები რიჩარდ ბარტონი და ელიზავეტ ტეილორი შარშან ორჯერ დაქორწინდნენ და განქორწინდნენ. მეორე ქორწინების შემდეგ რიჩარდ ბარტონმა მეუღლის ხათრით სმას თავი დაანება. დაბადების დღის 50 წლისთავზე მინერალური წყლის მეტი არაფერი დაულევია. ამ ცდუნებას რიჩარდ ბარტონმა როგორღაც გაუძლო, მაგრამ ვერ შესძლო მეუღლისათვის მეორე პირობა შეესრულებინა... იგი კვლავ გაიტაცა ქალმა. რიჩარდ ბარტონი ოფიციალურად დაქორწინდა ინგლისელ მემოდელე ქალზე სუზან ჰუნტზე.

ელიზავეტ ტეილორი კვლავ აპათიაში ჩავარდა. ალბათ, გახსოვთ მისი ბრილიანტებით და სხვადასხვა ძვირფასი ქვებით გატაცება. ქმარზე გაჯავრებულმა კინოვარსკვლავმა ბრილიანტებზე იყარა ჯავრი და აი, გაზეთებში გაჩნდა სენსაციური ცნობა: „ელიზავეტ ტეილორი ჰყიდის ბრილიანტებს, უქმდება ფირმა, რომელიც მის სახელს ატარებს“.

კომპანიამ მთელ ამერიკის შეერთებულ შტატებში დაიწყო ბრილიანტებით ვაჭრობა. ყველაზე მცირე ბრილიანტის ღირებულება 500 დოლარს აღემატება.

## ბენიამინო ჯილის ოჯახი განსაცდელშია

ამასწინათ იტალიელები დიდად შეაწუხა ცნობამ იმის შესახებ, რომ ბენიამინო ჯილის ოჯახი დიდ გასაჭირშია. ბენიამინო ჯილის ქვრივი და მისი ავადმყოფი ვაჟიშვილი მატერიალურ სივიწროვეს განიცდიან. მათ მიიღეს უწყება დაუყოვნებლივ დატოვონ საცხოვრებელი ფართობი, რადგან არა აქვთ შესაძლებლობა გადაიხადონ ბინის ქირა.

გამოქვეყნდა მოწოდება სხვადასხვა ორგანიზაციისადმი „რათა შეიქმნას ფონდი დიდი ტენორის — ბენიამინო ჯილის ოჯახის დასახმარებლად“.

მოწოდებას დიდად გამოეხმაურნენ მსახიობები, მუსიკოსები, მომღერლები. მათ დადეს ხელშეკრულებები — უსასყიდლოდ შეასრულონ სხვადასხვა ნაწარმოებები, ხოლო შემოსავალი მომღერლის ოჯახს გადასცენ.

## კინოვარსკვლავი — მწერალი

მსახიობმა ქალმა ლივ ულმანმა (ინგმარ ბერგმანის მეუღლე და მისი ფილმების მთავარი პერსონაჟი), რომელსაც ჩვენი მაყურებელი იცნობს ფილმიდან „მარწყვის ჭალა“, დაწერა ავტობიოგრაფიული რომანი. კინოვარსკვლავის რომანმა დიდად დააინტერესა საზოგადოებრიობა. პირველი გამოცემა მაშინვე გაიყიდა. წიგნმა კრიტიკოსთა და მკითხველთა დიდი მოწონება დაიმსახურა.

პრესამ აღნიშნა, რომ ლივ ულმანი არამარტო კარგი მსახიობი, ნიჭიერი მწერალიც გახლავთ.

## თითქმის დაუჯერებელი

ბერძენი პარიკმახერი ქრისტოს ანგელოპულო შეუსვენებლად მუშაობდა... 86 საათი. ამ ხნის განმავლობაში მან მოასწრო 200 კლიენტის გაპარსვა და გაკრეჭა.

ქრისტოს ანგელოპულომ მხოლოდ მაშინ შეწყვიტა მუშაობა, როცა გულწასული დაეცა იატაკზე. რეკორდსმენი პარიკმახერი მაშინვე საავადმყოფოში გააქანეს.

*

ჰოლანდიაში ამას წინათ ჩატარდა საგანგებო გამოცდა, რომელმაც ნათელყო, რომ ფეხშიშველი შოფრები უფრო კარგად მართავენ მანქანებს.

ცნობილმა მომღერალმა გრეის ჰოლმა, რომელიც ინგლისში ცხოვრობს, ამას წინათ ხმაურის რეკორდი დაამყარა.

საგანგებოდ მოწვეულ მსაჯებთან იგი ისე ხმამაღლა გაჰკიოდა სიმღერას, რომ მთლიანად დაფარა მჭედლის ჩაქუჩის ხმაური.

*

ამერიკის შეერთებულ შტატებში ამ რამდენიმე თვის წინათ დაამზადეს დროშა, რომლის წონაა... ტონანახევარი.

რეკორდსმენი დროშის სიგრძეა 110 მეტრი, სიგანე — 60 მეტრი. იგი 75 ათასი დოლარი დაჯდა.

როცა დროშა ნიუ-იორკის ერთ-ერთ ხიდზე გადმოფინეს, ამოვარდნილმა ქარმა იგი ორად გაფხრიწა.

*

გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ქალაქ დიობელნში ინახება ჩექმა, რომლის სიმაღლე 3 მეტრი და 70 სანტიმეტრია. სიგრძე — 2, მეტრი.

ჩექმის შეკერვას 6 ხელოსანმა 750 სამუშაო საათი მოანდომა.

რეკორდსმენი ჩექმა კარგად მოერგებოდა ადამიანს, რომლის სიმაღლე, სულ ცოტა, 12 მეტრი მაინც იქნებოდა.

*

იტალიის ქალაქ სტრადელის მახლობლად თევზის დასაჭერად არც ბადეა საჭირო, არც ანკესი, არც საგანგებო ფაცერი... თევზები აქ თავისუფლად შეიძლება დაიჭიროთ ცარიელი ხელით.

ქალაქის მახლობლად მდინარეში დიდი რაოდენობით ჩაედინება ლე[illegible]ნის ქარხნის ნარჩენები. ამ ნარჩენებით თევზები ისე თვრებიან, რომ ყოველგვარი შიში უქრებათ ადამიანების მიმართ.

*

ალჟირში არის უცნაური ტბა, რომლის წყალს მელნად იყენებენ.

ტბაში ჩამავალი ორი მდინარე უხვად შეიცავს სხვადასხვა მინერალურ ნივთიერებას. სწორედ ამ ნივთიერებათა მეოხებით იღებს ტბა მუქ ლურჯ ფერს.

*

ინგლისის პოლიციამ ამას წინათ შეძლო აღმოეჩინა დამნაშავე, რომელიც მოხერხებულად ძარცვავდა კონსერვატორების ერთ-ერთ კლუბს.

ქურდი აღმოჩნდა კლუბის... ძაღლი. მოპარული ფულის დასტებს იგი თურმე ბუნაგში მიაძუნძულებდა და იატაკის სათბუნებლად იყენებდა.

*

შვეციის ტელევიზიის თორმეტ დიქტორს ამას წინათ საგანგებო ბრძანებით გაპარსეს წვერ-ულვაში. მოდის მიმდევარი დიქტორების ძალით გაპარსვა ყრუ ტელემაყურებელთა საჩივარმა გამოიწვია.

მომჩივრები იწერებოდნენ, რომ წვერ-ულვაში მათ ხელს უშლის ნათლად დაინახონ დიქტორების ტუჩების მოძრაობა და შეუცდომლად აღითქვან წარმოთქმული ბგერები.

*

ამერიკელმა ფსიქოლოგებმა გრამფირფიტაზე ჩაწერეს ქალაქის ხმაური, რევოლვერის სროლის ხმა, პოლიციელების სასტვენებისა და მეტროპოლიტენის მატარებლების გრუხუნი.

მსმენელთა უმრავლესობამ გადაჭრით აღიარა, რომ გრამფირფიტაზე ჩაწერილი იყო... თანამედროვე მოდური მუსიკა.

თითქმის დაუჯერებელი

ეროვნული ბიბლიოთეკა

გარეკანის პირველ გვერდზე: თბილისის „დინამოს“ ოსტატ ფეხბურთელთა თავდამსხმელი დავით ყიფიანი.

ბონდო დადვაძის ფოტო.

გადაეცა ასაწყობად 9/X-76 წ., ხელმოწერილია დასაბეჭდად 15/XI-76 წ., ქაღალდის ზომა $70 \times 108^{1}/_{8}$, ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 2,5, პირობითი ნაბეჭდი ფურცელი 3,5, სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 4,9. ტირაჟი 52.330. შეკვ. № 3422. უე 00918. ფასი 30 კაპ.

Ежемесячный общественно-политический и литературно-художественный журнал «Дроша» (на грузинском языке) Издательство ЦК КП Грузии

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, თბილისი, ლენინის ქ. № 14.
Типография издательства ЦК КП Грузии, Тбилиси, ул. Ленина, 14

რედაქციის მისამართი:
380008, თბილისი 8, რუსთაველის პრ. 42.
ტელ. — მთ. რედაქტორის — 99-54-66, პ/მგ. მდივნის — 99-82-69, განყოფილებების — 93-28-42, 99-01-39.

რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ.



ნათესავების შემოსვლა

# ჯემალ ლოლუა

ქონების დაგროვება.





ეროვნული ბიბლიოთეკა

ყაზბეგი ალექსანდრე სააკოვის ფოტო

ИНДЕКС 76056